ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 97
მაისის 9, ხუთშაბათი, 1902 წ.
1877

ივერია

№ 97
მაისის 9, ხუთშაბათი, 1092 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი № „ივერიისა“ გამოვა შაბათს, 11 მაისს.

რახაილ ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, გიორგი და რაფაელ აბაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისას, ხოლო უკანასკნელნი საყვარელის ძმის ნადვორნი სოვეტნიკის

მიხეილ დიმიტრის ძის აბაშიძისას

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ გარდაცვალებულის გასვენებას ამ მდგომარე წლის 9 მაისს, სოფ. როკითში და მით ანუგეშონ დამწუხარებული ქირისუფალნი. (2—6.—2)

პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მაისს, 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის-მიერ
გამართული იქნება
ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით უკანასკნელი წარმოდგენა

სამშობლო

დრამა 5 მოქმედ. გად. თ. დ. ერისთავის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, გივიშვილი, რჩეულოვისა. ბ-ნნი ალექ.-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, რომანიშვილი, საფაროვი და სხვ.

დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია.

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“

განახლებული გამგეობა ამავე ამხანაგობის სარევიზიო კომისიასთან ერთად აუწყებს ამხანაგობის ბ.-ბ. მოწილეთ, რომ ამ მაისის 12, კვირას, დილის 10 საათზე, **დ. ლანჩხუთში**, ადგილობრივი სკოლის დარბაზში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო არა ჩვეულებრივი კრება. კრების განსახილველი საგნებია: 1) მიღება ამხანაგობის ახალ ხელშეკრულობისა, რომელიც შედგენილია ძველ საფუძველზე 19 აპრილს შემდგარ ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შეტანილი მცირეოდენის ცვლილებით. 2) ამხანაგობის ყოფილი გამგის ბ. **სოლომონ ალექსანდრეს ძის ჭეიშვილის** თვითნებურ და ამხანაგობისათვის საზარალო მოქმედების განხილვა და მსჯავრის დადება. 3) **ოც მანეთიან** წილის ბარათის (პაი) **ათ მანეთიანად** შეცვლა. 4) წრევანდელ ოპერაციის დასაწყებათ თადარიგის დაჭერა და საშუალების გამოძებნა და 5) მიღება და დამტკიცება წარსულის წლის 16 დეკემბერს ოზურგეთში შემდგარ კრებაზე სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ ამხანაგობის წლიურ ანგარიშისა, უკეთუ ყოფილი გამგე ჩააბარებს ახალ გამგეს ხსენებულ ანგარიშს.

ამხანაგობის გამგე იოსებ ღ. ქუთათელაძე.

გამგეობის წევრნი: 1 ვ. კანდელაკი, 2 ს. ვაშალომიძე.

სარევიზიო კომისიის წევრნი: 1 თ. კიკვაძე, 2 ნ. მხეიძე, 3 გრ. ურატაძე, 4 მღ. დ. იმნაიშვილი, 5 ნ. გეგელაშვილი, 6 ს. ვაშაყმაძე. (2—6.—2)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. 7—$7^{1}/_{2}$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. დამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს მოუწერია ტფილისში წერილი ყოვლად-სამღვდელო კირიონისათვის, რომლის თაოსნობითაც იბეჭდება ამ ჟამად სამეცნიერო აღწერა საეკლესიო მუზეუმის ხელ-ნაწერებისა, მალე იქნება თუ არა დაბეჭდილი კატალოგი ზემოხსენებულ მუზეის ხელ-ნაწერებისა და აღწერა ნივთებისაო. კატალოგი, როგორც ვიცით, უკვე შედგენილია და იბეჭდება ორს სტამბაში, ნახევარი, 401 ნომრამდე, ერთს სტამბაში და ამ ნომრიდან დანარჩენი—მეორეში. ბეჭდვას ორსავე სტამბაში, რამდენადაც-კი შესაძლოა, აჩქარებენ და იმედი აქვთ, რომ ამ ზაფხულს ორივე წიგნი მზად იქნება.

◆ სამარხ კასის გამგეობამ თავის თავმჯდომარედ ამოარჩია ივ. როსტომაშვილი, ხაზინადრად შ. ქუჩუკაშვილი და მდივნად ალ. დავითიშვილი.

◆ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის ალმსრულებელი ბ-ნი ი. ნ. სვეჩინი 7 მაისს ტფილისიდგან ყირიმს წავიდა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ალექსანდრეს ბაღში ხუთშაბათობით და კვირაობით საღამოთი სამხედრო მუსიკა დააკვრევინოს ხოლმე.

◆ 9 მაისს ქალაქის სასკოლო კომისიას ექნება სხდომა სკოლებში ჰიგიენის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ როგორც „ცნობის ფურცელს“ შეუტყვია, ადმინისტრაციას აზრადა აქვს თურმე ტფილისის ქალაქის ხმოსანთა არჩევნები შემოდგომისთვის გადასდოს.

◆ ქალაქის თავმა წარუდგინა გუბერნატორს საბჭოს შუამდგომლობა ავლაბარში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ინგლისელი მოგზაური ედუარდ ბეკლი, რომელსაც აზრადა აქვს ჩვენებურ ძველ იარაღის შესწავლა.

◆ ერთის საზოგადოების წარმომადგენელმა თავ. დ. ა. გურამიშვილმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ ელექტრონის ნაცვლად ქუჩები გალკინის სისტემის ლამფებით გაანათონ. თავ. გურამიშვილის სიტყვით, ქალაქს ასეთი განათება ბევრად უფრო იაფად დაუჯდება.

◆ ყოვლად-სამღვდელო კირიონისაგან მივიღეთ 40 წიგნი სასულიერო და ისტორიულის შინაარსისა. ეს წიგნები ყოვლად-სამღვდელომ ალაგირის ქართულ სკოლის წიგნთსაცავს შესწირა.

◆ ყოვლად-სამღვდელო კირიონი შაბათს, 4 მაისს, წავიდა ბეთანიის მონასტერში. მეორე დღეს გადაიხადა პანაშვიდი განსვენებულის დავით ზაალის ძის ბარათაშვილის სულის მოსახსენებლად, იმ ბარათაშვილისა, რომელმაც საკმაოდ მიწა-ადგილი შესწირა ამ შესანიშნავს მონასტერს.

◆ ჩვენ შემოგვჩივლეს, რომ გუშინ, 8 მაისს, მთელს იარმუკაზედ ისეთს ხორცს ვერ იშოვიდით ვერც ერთს დუქანში, სუნ-დაცემული არა ყოფილიყოს. მიზეზი თურმე ის არის, რომ ნავთლუღის სასაკლაოზედ მხოლოდ დილის 11—12 საათამდე აკვლევინებენ საქონელს და ეს დაკლული საქონელი ბაზარში ჩნდება გასაყიდად მხოლოდ მეორე დღეს. საქონელი რომ დილით ადრე დააკვლევინონ ნავთლუღში, იმ დღესვე გაჩნდება ხორცი ბაზარში და სუნიც აღარ დაეცემათ.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზას 9,000 მანეთს ედავებოდა მეტონიძე, რომელიც სამსახურის დროს დაშავებულა. სასამართლოს განუხილავს, „ხ. მიმ.“ სიტყვით, დავა და მეტონიძის სასარგებლოდ გადაუწყვეტია 7,500 მანეთი.

◆ ქალაქის თავის მოადგილეს შესტაკოვს, ამ დღეებში განჯის ქალაქის თავმა სთხოვა წერილით აცნობოს, რა წესით ახდევინებს გამგეობა რკინის გზის სახლებს დასათვსებელს გადასახადს.

საქართველოს ამბები

Ზოგიერთ მატარებლებზედ იმ მგზავრთ, რომელნიც სურამში მიდიან ან იქიდგან მოდიან, ხაშურში სამი საათი უხდებათ ცდა. «ახ. მიმოხ.“-ს სიტყვით, სურამის საზოგადოება შუამდგომლობს ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობის წინაშე, მატარებლების მიმოსვლა ისე მოაწყოს, რომ ხაშურში მგზავრთ სამი საათი ცდა არ უხდებოდეთ.

—

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა): მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სოფელში დიდი და ჩინებული თლილის ქვით ძველის-ძველად აშენებული ტაძარია, ამას წინად ცალკე კომიტეტის მიერ განახლებული. ახლა ამ ტაძარს აქაურ მღვდლისა და მრევლის მხნეობით გადავანიც შემოარტყეს ქვითკირისა. წელს შეუდგნენ სამრევლო სკოლის შენობის აგებას. მღვდელი თითონაც მუშაობს და მრევლიც ხელს უწყობს ამ საქმეში მღვდელს.

—

ბორჩალო: ეს სამი წელიწადია, რაც ბორჩალოში ცალკე კეთილ-მოწესე მღვდელი დაინიშნა და იმას ჩაჰბარდა აქაური ეკკლესიები და სამრევლო მღვდლები. თუ მანამდე კეთილ-მოწესე წელიწადში ერთხელ ძლივს დაგვხედავდა ხოლმე, ახლა ორჯელაც გვეწვევა ხოლმე და იგებს აქაურობის ავ-კარგს. მოწესრიგემ ანუ, როგორც შემოღებულია ჩვენში, ბლაღოჩინმა, თვისი ყურადღება მიაქცია აქაურ ეკკლესიებს, ეკკლესიის ნანგრევებსა და საეკკლესიო კრებულთა მდგომარეობას. თუმცა უწ. სინოდის განკარგულებით კეთილ-მოწესე მღვდელი უნდა სცხოვრობდეს შულავერში, მაგრამ იგი ამ ჟამად ტფილისში სცხოვრობს და იქიდანაც ადვილად ახერხებს აქაურ სასულიერო საქმეებზედ თვალ-ყურის ჭერას. როგორც შევიტყვეთ, კეთილ-მოწესეს მღ. ხუნდაძეს უკვე საძირკველიც ჩაუყრია შულავერში მართლ-მადიდებელთათვის ეკკლესიის ასაშენებლად. შულავერში საკმაოდ არის ქართველობა, რომელიც დღემდე მოკლებული იყო წირვა-ლოცვას.

—

ჭიათურა. ამ ხუთის დღის განმავლობაში ბოროტ-განმზრახველს მესამედ აღეძრა გულში ცეცხლის გაჩენის სურვილი. ორს მაისს, ღამით, შავი-ქვის მრეწველის რატიანის ორსართულიან ყავრით დახურულს სახლს გაუჩინა ცეცხლი, საიდგანაც უნდა გადამწვარიყო ოცი ორ-სართულიანი ფიცრული შენობა.

ბოროტ-მომქმედს მალე გაუგეს მისი განზრახვა და ძლივს გადარჩნენ მოულოდნელ გაჭირვებისაგან, მეტადრე ღარიბნი. ცეცხლის გაჩენა პირველად შეიტყო რატიანისავე მსახურმა ბიჭმა იმ დროს, როცა კედელი გამოეწვა ცეცხლს და შიგვე მწოლიარე მსახურის ბალიშს და თმას მოსდებოდა ალი. ამას არ დასჯერებია ბოროტ-მომქმედი და დუქნის კედელზედ გაუკრავს ქაღალდი, რომელზედაც დაეწერა: „ჩვენ სამი კაცი ვართ, ცეცხლს რომ ვაჩენთ და სანამ არ დავწვავთ მთლად ჭიათურას, ისე არ მოვშორდებითო“.

ეს არა სასურველი მოვლენა ორი-სამი წელიწადია, რაც დასჩემდა ჭიათურას, მაგრამ ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა...

კარგი იქნება ამ მოვლენას მეტს ყურადღებას მიაქცევდეს ადგილობრივი ადმინისტრაცია და განდევნიდეს ჭიათურიდგან მოხეტიალე უსაქმო ხალხს, რომლისაგანაც უარესს უნდა მოველოდეთ ზოგიერთნი დაბეჩავებულნი ჭიათურის მცხოვრებნი.

გ. ნანელი.

—

სტეფან-წმიდა (დუშეთის მაზრა). ამ ცხრა ათის წლის წინედ ვინმე „სტეფანელი“ მწუხარებით ღაღადებდა გაზ. „ივერიაში“, რომ ვინც ჩვენის კეთილ-დღეობის და სწავლა-განათლების საქმეს გულ-მოდგინედ ხელს მოსჭიდებს და მისთვის მოღვაწეობას იკისრებს, ის დიდხანს ვერ შეგვრჩება ხოლმე, რომ თავის მიზანს მიაღწიოს და თავისი სურვილი განახორციელოს და დაამთავროსო. ამ გვარს კაცებს ჩვენი უბედურება წინ გადაეღობება ხოლმე: ან სიკვდილი წაგვართმევს, ან მთავრობა არ შეგვარჩენს დიდ-ხანს, განგვაშორებენ, ან თვით ჩვენივე უმეცრება და უმადურობა აიძულებს ხოლმე გაგვშორდეს და სხვაგან გადავიდესო. ამას კორესპონდენტი მაგალითებით ასაბუთებდა და იხსენიებდა განსაკუთრებით: დიმიტრი ყაზბეგსა, მიხეილ ზ. ყიფიანს, ბლაღოჩინს მ. ა. გულისოვს და სხვებს.

მართლა-და, კაცი რომ დაუკვირდეს ხევის საქმეს, სწორედ და „სტეფანელისთანა“ მაგალითების მოყვანა დღესაც შეიძლება. აი თუნდა, მაგალითად, ავიღოთ 1900 წელიწადი. ამ წელს დაგვენიშნა მაზრის უფროსად ბ-ნი ნ. მესხიევი, რომელმაც მოსვლისთანავე დაათვალიერა, სხვათა შორის, ჩვენი ხევიც, შეიტყო ყველა ჩვენი გარემოება, თუ რა შეწუხებაში იყო ხალხი შინაურის ქურდ-ბაცაცა რაინდებისაგან და აგრეთვე საძოვარ მთებში და სახელმწიფო გზაზე ქისტებისაგან თავდაცემით და მტაცებლობით ცხვრისა, საქონლისა და ცხენებისა.

შენიშნა აგრეთვე აქაურობის სწავლა-განათლების უკან ჩამორჩენა და დაჰპირდა, იმედი მაქვს ყველა ეს ავ-კაცობა მოვსპო და შინაური ქურდ-ბაცაცები გაგაშოროთ აქედამო. ერთ-კლასიანი სასწავლებელიც ორ-კლასიანად გადავაკეთოთ, თქვენის და მთავრობის დახმარებით. საავადმყოფო და აფთიაქიც მოვაწყოთო და სხ.

მართლადაც, ქურდობის მოსასპობლად ისეთი სასტიკი ზომები მიიღო, რომ არამც თუ შინაური ქურდ-ბაცაცები ალაგმა და თავს ზარი დასცა, ვლადიკავკაზის ოლქის მმართველობამაც-კი ისეთი განკარგულება მოახდინა, რომ ქისტს აღარ შეეძლო იმ ხევის მახლობელ მთებში და გზებზედ სიარული, სადაც ისინი ჯიხვებზე მონადირის სახელით დანავარდობდნენ საქურდლად და საძარცვავად.

გახშირდა ისევ ქურდობა, დუქანი აღარ რჩება გაუქურდავი და სახლი. ასე გასინჯეთ, სასოფლო სამმართველო (უპრავლენიეც) გატეხეს ღამე და გაიტანეს მამასახლისის უნაგირი, რომელიც, როგორც ამბობენ, მეორე კვირას ჩუმად შეისყიდა მამასახლისმა ქურდებისაგანაო. სამჭედლოც-კი არ გადურჩა ამ ღამის რაინდებს, ისიც გატეხეს და გამოიტანეს 5 ცალი ახალი სახნისი, რამდენიმე წყვილი ცხენის ნალი და სხ.

ქისტებმაც ხომ ისევ ძველებურად თავისუფლად დაიწყეს სიარული: ხან „კარანტინში“ მიდიან იქ მოსამსახურე ქისტებთან, ხან გველეთს, სადაც ამ სოფლის გადასახლებულთაგან ერთი კომლი ქისტი დარჩა რაღაცა მანქანებითა და ეხლა სამ კომლად გადაიქცა. ესენი იღებენ სტუმრადა. აქ არის ბუდე მთაში მონავარდე ქურდ ქისტებისა.

ცხრა-ათ წელიწადზედ მეტია, რაც სტეფან წმიდის ერთ-კლასიანი სკოლა არსებობს ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სახელით და ამ ხნის განმავლობაში ერთი რიგიანი მასწავლებელი პირველად შეგვხვდა 1896 წლიდამ,—ბ. გიორგი ნათაძე, რომელიც სულით და გულით სცდილობდა ამ სკოლის წარმატებას; არამც თუ თვისს შრომასა და მეცადინეობას არ აკლებდა, თავის მცირე ნივთიერს ქონებასაც-კი ამას ანაცვალებდა და თავის მცირე ჯამაგირსაც-კი (300 მანეთი ჰქონ-

და წელიწადში) სამად ანაწილებდა: ერთს ნაწილს ცოლ-შვილის შესანახად, მეორეს—თავის თავისა და მესამე ნაწილს სკოლის საჭიროებას ახმარებდა და წამლების ყიდვას, ხალხში უფასოდ დასარიგებლად. მას შემდეგ ორი მასწავლებელი გამოიცვალა; ეხლა მესამე რიგიანი შეგვხვდა, მაქსიმე მარკოზოვი, მაგრამ არც ამისი იმედი გვაქვს, რომ დიდ ხანს შეგვრჩეს, თუმცა ჯერ ერთი სამოსწავლო წელია ჩვენში.

მამა ა. გულისოვის შემდეგ 10 წელზე მეტია, ეხლა ძლივს გვეღირსა ღვთის სათნო კაცი მ. ნ. კანდელაკი. ჯერ ერთს წელზე მეტი არ არის, რაც მ. ნ. კანდელაკი აქ დეკანოზად დანიშნეს, მაგრამ ამ ცოტა ხანში დიდი ღვაწლი და შრომა გამოიჩინა არა მარტო თავის სამწყსოში, არამედ მთლად ხევშიც. იმისი ყოველ წირვის დღეს კვირა-უქმეებში მშვენიერი ენა-ტკბილი ქადაგება ერთი-ორად მეტს ხალხს იწვევს ეკკლესიაში. ხშირად მთლად ხევის სოფლებში რიგით (მასწავლებელთან ერთად) ჩამოატარებენ ხოლმე ჯადო-ფარანს და უჩვენებენ ხალხს მრავალს სხვა-და-სხვა ისტორიულს სურათებს, უხსნიან მათს ვინაობასა და ცხოვრებას და ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ. დეკანოზმა ნამეტნავად შეაყვარა ხალხს თავი მით, რომ არავითარ წესის ასრულებაზედ სასყიდელს არ თხოულობს (თუმცა იღებს-კი, თუ მისცემენ შეძლებისამებრ).

ხალხის ამორჩეულ მოხელეებზედ, ე. ი. სუდია-მამასახლის-მწერალ-ჩაფრებზედ ხომ აღარა ითქმის-რა, რადგანაც ამათზედ ცუდის თქმა მათ მფარველს ბოქაულს სწყინს და კარგის თქმა-კი არ შეიძლება.

არ უნდა გაუკვირდეს კაცს ამის შემდეგ ამ ხალხის ზნეობითი დაცემა და არც ის, რომ სწავლა-განათლების საქმე ასე მძიმედ მიდის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთს წერტილზედაა გაყინული... მაგრამ ნუ-თუ სწავლა-განათლება აღდგენილი არ იქნება და ბოროტ-მოქმედებას ბოლო არ მოეღება?

ნ. პ. ღუდუშაური-მოხევე.

ქუთაისი (ბანკის საქმეები). თავად-აზნაურთა წარსულ კვირის კრებასვე მოხსენდა იმ შეურაცხყოფის ამბავი, რომელიც პოლიცმეისტერმა ლოსოცკიმ მიაყენა 5 აპრილს სათავად-აზნაურო სასწავლებელს. მოხსენება წაიკითხა ამ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრმა ს. ჯაფარიძემ. იგი უკვე მოყვანილი იყო „ივ.“ № 89-ში. ერთმა მეტად აღელვებულმა საპატიო წევრთაგანმა (დ. დ—ძემ) ეს ინციდენტი ასე დაახასიათა: «Поступокъ этотъ заслуживаетъ того, чтобы на него было обращено должное вниманіе; онъ не первый и не послѣдній въ нашей жизни», რაც მეორე დღეს ოქმში შეატანიეს მდივანს.

თავად-აზნაურობის დაწესებულების უკანონოდ შელახვამ ყველა აღელვა; ყველა მოსურნე იყო სამაგიერო მიეზღო, რასაკვირველია, ისევ კანონის საშუალებით. ეს უკმაყოფილება იმდენად საგრძნობელი შეიქმნა, რომ მიუხედავად საგუბერნიო მარშლის მოხსენებისა ამის შესახებ «Губернаторомъ производится строжайшее слѣдствіе»-ო, კრება მაინც არ დაკმაყოფილდა და კენჭის ყრით ერთხმად გადასწყვიტეს ადგილობრივ უმაღლეს მთავრობასთან საჩივარი შეიტანონ არსებულის წესრიგით.

საგანგებო კრებასვე მოხსენდა დეპუტატთა საკრებულოსათვის კათოლიკეთა მოედანზე ხარაზოვისეულ სახლის შეძენის საკითხი, რისთვისაც ამას წინად შემდგარმა კომისიამ თანხმობის აზრი წარმოადგინა, მაგრამ ზოგი და მათში ქუთ. მაზრის მარშალი თ. დ. ნიჟარაძე და ყოფილი ვექილი თ. ქობაკიძე წინააღმდეგნი გახდნენ. როგორ ეკადრებათ, ამბობდნენ ისინი შეურაცხყოფის კილოთი, თავად-აზნაურობას ისეთ ცუდ ადგილას, როგორიცაა კათოლიკების წაბილწული მოედანი, ისეთი ცუდისა და დანგრეულ-დალეწილის სახლის ყიდვა. ვინმე გვესტუმრება, ან დავპატიჟებთ უცხო ვისმე და როგორ უნდა შევიყვანოთ ამგვარ ადგილას აშენებულ სახლში, სირცხვილს არ ვჭამთო?!.. ის ჩვენის წოდებისთვის შესაფერი სახლი და ადგილი არ არის და ამისათვის თავი უნდა გავარებოთ იმის ყიდვასაო. ქალაქის შუაგულს ადგილას შევიძინოთ მიწა და სახლიც შესაფერისი ავიშენოთო დაიჟინეს და მიუხედავათ კომისიის აზრისა, რომ ეს ან სულ არ მოხერხდება, ან ძალიან გვიან მოხერხდება, ახლა-კი სულ მუქთად ვიძენთ იმისთანა მამულსაო,—კრებას უარ-აყოფინეს ეს საკითხი. დღეს-კი ნაქირავებ სახლში 600 მან. იხდის დეპუტატთა საკრებულო და ამ ფულით სულ ადვილად მოიშორებდნენ მამულისა და სახლის გადასაკეთებელ ვალს.

მაგრამ რამდენადაც წრევანდელ საგანგებო კრებაზე თავად-აზნაურობამ სხვის მიერ შეურაცხყოფილათ იგრძნო თავი, იმდენადვე მან თავისი თავი თვით შეურაცხჰყო ქართულის ენის უცოდინარობით. თავად-აზნაურთა კრებანი ისეთი დაწესებულებაა, სადაც ქართულად ლაპარაკი აკრძალული ხილი არ არის. თუმცა ეს ასეა, თუმცა უმრავლესობას, როგორც კრებაზედვე განაცხადეს, რუსული არ ესმოდა, თავმჯდომარიდგან მოყოლებული მოინტელიგენტო სერთუკოსან და ზოგ ჩოხოსნებამდე სულ რუსულად „მოჩრჩობას“ შეუდგნენ. ერთხანად ასეთ საქციელს ქართულ დაწესებულებისას უმრავლესობა ითმენდა, თუმცა აქა-იქ რუსულად მოუბართ შემდეგის წამახილით შეაწყვეტინებდნენ ხოლმე: არ გვესმის, ბატონო, ქართულად, ქართულადო. მაგრამ რადგან ამ გაკვრით ძახილმა აღარ გასჭრა, წამოსდგა ცქვიტი გურული (ოზურგეთლებისათვის ლუზედ წოდებული ნ. თაყაიშვილი) და შემდეგის მოსწრებულის სიტყვით მიჰმართა კრებას: ბატონებო, ჩვენ სოფლებიდგან და მაზრის ქალაქებიდგან გამოგვგზავნეს ჩვენის საქმეების გასაგებად, კარგის მოსაწონებლად და ავის დასაგმობად, უმეტესობა ჩვენგანი, თქვენც მოგეხსენებათ, სოფლელები ვართ და თქვენი რუსული კარგად არ გვესმის, ქართულსა ვართ შეჩვეულნი. თქვენ-კი, როგორც ვხედავ, სუყველა რუსულად ლაპარაკობთ და რუსულად ბჭობთ; ჩვენ-კი, როგორც მოგახსენეთ, ამისი არა გაგვეგება-რა და რათ გვაყენებთ უხერხულ და გაჭირვებულ მდგომარეობაში? ასე რომ ჩვენ აღარ ვიცით, რა გადავცეთ აქ ნალაპარაკები ჩვენს გამომგზავნელებს. ამიტომ მე ვთხოულობ უმაღლესად ნაბოძების ფულით დავაარსოთ ისეთი სასწავლებელი, სადაც ნასწავლ კაცებს ქართულ ლაპარაკს ასწავლიანო...

მიუხედავად ასეთის მწვავე და საგულისხმო საერთო სავედურისა, ორატორი საერთოვე ტაშის ცემით დააჯილდოვეს და სერთუკოსნებს იგი იმდენად გულში ჩარჩენოდათ, რომ მეორე დღეს ოქმის შესასწორებლად წაკითხვის დროს ერთმა მათგანმა, მოხუცებულმა დავით მიქელაძემ გაახსენა თავმჯდომარეს, რომ ბ-ნ თაყაიშვილის წინადადება მდივანს გამორჩენია და მე საჭიროდ მიმაჩნია იგი შეტანილ იქმნასო, რასაც სხვებმა მიაყოლეს: „შეტანილ იქმნას, შეტანილ იქმნასო“.

ლაპარაკის დროსაც სანახევროდ რუსულად, ნახევრად ქართულად მოუბრობაც ხომ ორატორთა „სწორმეტყველების“ საუნჯეს შეადგენდა. «Ваше сіятельство»-თი დაწყებულ და შიგა და შიგ ჩაზიქართულებულ „რეჩს“ თავმოსწონედ „ასეთია ჩემი აზრიო“ დაასრულებდნენ. ენათა ასეთ აღრეულობის დროს სწორედ მისწრებად უნდა ჩაითვალოს ახლად გამოსული გამოკვლევა სილოვან ხუნდაძისა: „სალიტერატურო ქართული“, რომლის გამო ლაპარაკი ჩვენ სხვა დროს და, შეიძლება, სხვა ალაგას გვექნეს, მანამდე-კი ნურავინ დაინანებს და იუკადრისებს ამ ფრიად საჭირო წიგნის შეძენას და დაკვირვებით წაკითხვას.

ორიოდე სიტყვა ბანკის რწმუნებულთა წინანდელ და ახლანდელ ამორჩევებზედაც. წინადაც და ახლაც ეგრედ წოდებულ ოპოზიციას კალისტრატეს აჩრდილი ედანდებოდა და სცდილობდა „თავისიანების“ გათეთრებას. თუ იანვრის მსესხებლების ამორჩევებზე მომეტებულად ($^2/_3$) კალისტრატელები გათეთრდნენ, სამაგიეროდ წარსულ კვირის საგანგებო კრებაზე დამფუძნებელთა ამორჩევებში ოპოზიციონერები ჰჭარბობენ. ასე რომ თუ ქუთათურ ძველ საზომს მივიღებთ მხედველობაში: მოდავეთა ძალნი შუაზე არის გაყოფილი. უკეთეს შემთხვევაში კალისტრატიზმ-ოპოზიციონერობით დასების შედგენას რომ თავს დაანებებდნენ ქუთათურები და სამართლიანობის აღსადგენად სხვა საზომს გამოჰძებნიდნენ, ეს უფრო შესაფერი იქნება ინტელიგენტთა პარტიების მოქმედებაში. ამრიგად ბანკის მომავალ ორგანიზაციის შედგენაც სამართლიანს ნიადაგზე დამყარდება და შინ-ჩხუბსაც ბოლო მოეღება.

გარდა ამისა, ბანკის დღევანდელ ამორჩევებში ჩვენ კიდევ იმან გაგვაკვირვა, რომ ქუთათურ დიპლომიან ახალგაზდებში ბევრმა არ მიიღო მონაწილეობა გაშავების შიშით და ვინც მიიღო, ახლანდელ ოპოზიციონერთა ამორჩევებშიაც ისეთი ახალგაზდები გაშავეს (მაგ. გ. ლასხიშვილი, გ. ქორქაშვილი და სხ.), რომელნიც, თუ ერთისთვის არა, მეორესათვის მაინც სანატრელი კანდიდატები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ, როგორც სჩანს, სხვაგან სანატრელი კანდიდატები ქუთაისში უნატრელნი რჩებიან... ახალგაზდათა ახალი დამოუკიდებელი დასი კი თავის ვინაობის გამოცხადებას ჯერ კიდევ ვერ ჰბედავს ქუთაისშიც, ამ ინტელიგენტთა ბუდეში...

კრებაზე ზოგმა იკითხა: უმაღლესად ნაბოძები ფული ერთხნობითია, თუ ყოველ წლობით მოგვეცემაო, მისი პროცენტით უნდა ვისარგებლოთ, თუ თანხითაო. რა დღიდგან გვეძლევა ეს ფულიო: დღიდგან რესკრიპტის გამოცხადებისა, თუ დღიდგან ამ ფულის მოხმარების პროექტის წარდგენისაო და სხ. მაგრამ ამ გვართა ცნობისმოყვარეობა მალე სულ დააკმაყოფილეს...

ასეთი იყო ქუთათური კვირიდამ-კვირამდე, რომლის ანგარიში ჩვენ, ცოტა არ იყოს, მოგვიგვიანდა. იმედია, მკითხველი არ დაგვემდურება რადგან „ქუთათურ ახალ ამბების ხასიათი ჩამოვატარეთ წინდაწინ ზოგ რამის შეტყობინებით ამ კრებათა შესახებ.

ისო.

კავკასია

რაკი გადაწყვეტილია რკინის-გზა გაკეთდეს შავის ზღვის პირად, გზათა სამინისტრომ ცალკე კომისია შეადგინა და იმას მიანდო გამოიკვლიოს ყოველი ის საგანი, რომელსაც-კი კავშირი აქვს შავის ზღვის პირად რკინის-გზის გაყვანის საქმესთან. ეს კომისია შეიკრიბება ნოვოროსიისკში. კომისიას უკვე გუშინ, 8 მაისს, უნდა დაეწყო თავისი მუშაობა. კავკასიის მთავრობის წარმომადგენლად კომისიის სხდომებზედ დანიშნულია ინჟენერი ნოვომეისკი, ხოლო ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენლად შავის-ზღვის გუბერნატორის მოხელე გადასახლების საქმეთათვის ბ-ნი კრუპენინი.

უცხოეთი

სენ-პიერის დაღუპვა. მკითხველებმა უკვე უწყიან („ივ.“ № 94) რა დიდი უბედურება ეწვია პატარა კუნძულს მარტინიკს: დედამიწის გულიდგან ამოხეთქილმა სითხემ თვალის დახამხამებაზედ წალეკა ქალაქი სენ-პიერი, გაანადგურა რამდენიმე სოფელი, ამოვარდნილმა ცეცხლმა გადასწვა ნავთსადგურში მყოფი გემები და მრავალი სხვა საცოდაობა მოახდინა. ჯერ-ჯერობით არ იციან დაწვრილებით დაღუპულთა და ზარალის რაოდენობა. არც საკვირველია: სხვებთან ერთად წუთი-სოფელს გამოესალმნენ კუნძულის გუბერნატორი, სენატორი კნაიტი და სხვა მოხელენი, ასე რომ ამბის მთხრობელად ქალაქსა და იმის ახლო-მახლო თითქმის აღარავინ გადარჩენილა.

მიწის ძვრისა და დედამიწის გულიდგან ამოხეთქილ ცეცხლის სითხისაგან მთელის ქალაქის დაღუპვა პირველი მაგალითი არ არის. ასეთი შესაზარი უბედურება დრო-გამოშვებით ეწვევა ხოლმე კაცობრიობას. ისტორიიდგან ვიცით, რომ 79 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ ვეზუვის ამოხეთქამ სრულიად წალეკა ორი ქალაქი—პომპეი და გერკულანუმი. 1703 წელს მიწის-ძვრამ იაპონიაში ძირიანად შეარყია ქალაქი იედდო, დაიღუპა 2,000 კაცი. 1731 წელს საოცარი მიწის-ძვრა მოხდა პეკინში. ჩინური ქრონიკები გადმოგვცემენ, რომ „დედა-მიწამ 100,000 კაცი შთანთქაო“. 1754 წელს ასეთი უბედურება ქაირსაც ეწვია. მიწის-ძვრამ ლისაბონში (პორტუგალია) 1755 წელს 50,000 კაცი იმსხვერპლა. ამ მიწის-ძვრამ რვა წუთში მშვენიერი და კოხტა ქალაქი ნანგრევთა ხროვად აქცია. 1877 წელს მიწის-ძვრამდე გაანადგურა დიდი ადგილი, პანამასა და სანტა-ფეს შუა მდებარე; დაიღუპა 40,000 კაცი. 1883 წელს ცამეტმა ვულკანმა ამოხეთქა, ამათგან ერთმა—კრაკატოამ შუადღისას შავის სუდარით შემოსა გარეშემო ადგილი 50 ვერსის მანძილზედ. დაიღუპა 35 ათასი კაცი. 1895 წელს იაპონიას ხელ-ახლა ეწვია მიწის-ძვრა, რომელმაც მიწასთან გაასწორა კაიმიში და 21,000 კაცი იმსხვერპლა. ამა წლის თებერვალს შემახაში მიწის-ძვრამ ათასამდე კაცი იმსხვერპლა, ხოლო გვატემალაში—რამდენიმე სოფელი და რამდენიმე ათასი კაცი. ისეთ უბედურებათა ჩამოთვლა, რომლის დროსაც მიწის-ძვრას 50 და 100 კაცი უმსხვერპლია, ხომ შეუძლებელია.

თვით კუნძულ მარტინიკსაც არა ერთხელ და ორჯელ განუცდია ძალა მიწის-ძვრისა და ვულკანთა ამოხეთქისა, მაგრამ გადასახლება და სხვა ადგილას დაბინავება მცხოვრებთ არც ერთხელ არ უფიქრიათ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი დიდი კონსერვატორია. მაგალითი თვალწინა გვაქვს. შემახიას ერთის საუკუნის განმავლობაში სულ ცოტა ათჯერ მაინც ეწვია მიწის-ძვრა, ბოლოს ხომ გაანადგურა კიდეც, მაგრამ იქაური მცხოვრებნი დღესაც არა ფიქრობენ სხვა, უფრო უშიშარ ადგილას გადახიზვნას. თვით მარტინიკზედაც, როგორც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, მცხოვრებთ შეეძლოთ თავის შველა, ბუნების „გაფრთხილებისათვის“ რომ ცოტა-ოდენი ყურადღება მიექციათ. საქმე ის არის, რომ უბედურება ერთბაშად და მოულოდნელად არ დაატყდა სენ-პიერს.

ორის-სამის დღით ადრე ვულკანიდგან ნაცარ-ტუტის ამოვარდნამდე ნიშნები უბედურებისა უკვე იყო. მიწის განუწყვეტელი გრგვინვა, საოცარი კომლი, რომელიც შავ სუდარასავით გადაეფარა ნახევარ კუნძულს, მომასწავებელი იყო უბედურებისა და მცხოვრებთ უნდა ეფიქრათ რამე. ჯერ დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა, მაგრამ თითო-ოროლა წერილისა და დეპეშიდგან უბედურების სურათის აღდგენა მაინც შეიძლება. აი, საქმე როგორა ყოფილა.

ჯერ ისევ 20 აპრილს ვულკანი პელეე შავისა და ხშირის ღრუბლებით შემოსა. ამ ღრუბლებს ღამე ცეცხლის ფერი გადაჰკრავდა ხოლმე. კომლის გარდა, დედამიწის გულიდგან მალ-მალ საოცარი გრგვინვაც მოისმოდა. მეორე ღამეს ცა ვულკანის ცეცხლისაგან წითლად შეიღება. ამ ღამეს მცხოვრებნი პირველად მოიცვა შიშმა. მეორე დღეს ვულკანს უფრო ხშირი ღრუბლები შემოერტყა. იქიდგან ცხელი ნაცარი ამოდიოდა და მალე ამ ნაცრით მთის ფერდობებიც შეიმოსა. ყველანი შიშმა შეიპყრა, მაგრამ 24 აპრილამდე ეგონათ, რომ განსაცდელი ჩაივლისო. მუშაობა არსად არ შესწყვეტეს, იმ ორ ქარხანაშიაც-კი, რომელნიც ვულკანის ძირში იყო. ქალაქზედ ცოტა მოშორებით ცეცხლ-მფრქვეველმა მთამ პირველად ეს ორი ქარხანა იმსხვერპლა. 24 აპრილს საღამოთი საოცარი აფეთქების ხმა მოისმა, მთის ძირში მიწა გაიპო, უზარმაზარი ხვრელი გაჩნდა და იქიდგან ამოვარდა საშინელი ტალღა ცხელის ტალახისა, რომელმაც ისე სწრაფად წალეკა ორი ქარხანა, რომ ხსნა და შველა ყოვლად შეუძლებელი იყო. ტალახი თვალის დახამხამებაზედ ჯერ ძირის სართულებში გაჩნდა, შემდეგ ზევით-ზევით ავიდა და ბოლოს მთელ ქარხანას გადაეფარა. ტალახის ტბიდგან მხოლოდ ქარხნის მაღალი მილი-ღა მოსჩანდა. ქარხნიდგან ტალღა ხეობაზედ დაეშო, თან წაიღო ყოველივე, რაც კი წინ დაჰხვდა—შენობები პლანტაციები და სხვა, სამ წუთში ოთხი-ხუთი ვერსის მანძილი განვლო და საოცარის ძალით ზღვას დაეტაკა. სიგანე ამ ტალახის მდინარისა ნახევარ ვერსს აღემატებოდა. ტალახი ისე ძლიერ დაეტაკა ზღვას, რომ ტალღა დიდს მანძილზედ გაისროლა, შემდეგ ეს ტალღა უკანვე დაბრუნდა, ზღვის ნაპირს გასცდა და ახლა იმან გადავლო ის ადგილები, რომელზედაც ტალახმა ჩამოიარა. ამ უბედურების დროს ქალაქი სენ-პიერი უვნებელი გადარჩა. მცხოვრებთ რომ ამ დროს ეფიქრათ და სახიფათო ადგილს სრულიად გასცლოდნენ, ასეთი დიდი უბედურება არ დატრიალდებოდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს: ზოგი გემებზედ გადავიდა, ზოგმა შორეულ სოფლებსა და მთებს შეაფარა თავი, მაგრამ უმრავლესობა მაინც ქალაქში დარჩა იმ იმედით, რომ უბედურება ამით გათავდება და ცეცხლ-მფრქვევი ვულკანი ჩაქრებაო. მაგრამ იმედი არ გამართლდა. გრგვინვა დედამიწის შუაგულში მთელი ოთხშაბათი ღამე (24 აპრილი) არ შეწყვეტილა. ამ ღამეს მცხოვრებთ-სულ არა სძინებიათ. ყოველის მხრიდგან სასოწარკვეთილებისა და შიშის ტირილი მოისმოდა თურმე.

უბედურება, რომლისაგანაც ქალაქი დაიღუპა, დილის 8 საათზედ მოხდა. დაწვრილებით ამ უბედურების ამბავი ჯერ-ჯერობით არავინ უწყის, რადგანაც გადარჩენილთაგან (თუ-კი ქალაქელი გადარჩა ვინმე) ჯერ არაფერი ამბავია. ყოველივე ქვევით მოთხრობილი შორს ზღვაში მდგომ გემებზედ მყოფთა ნაამბობია. აი, მაგალითად, რას იუწყება ერთის გემის „Roddam“-ის უფროსი.

24 აპრილს ღამე ზღვაზედ საოცარი ღელვა იყო. მე პალუბაზედ ვიდექი და ველაპარაკებოდი ჩვენის სანავოსნო საზოგადოების აგენტს ჟოსეფ პლისანოს, რომელმაც თავს უშველა და ორი-სამის საათის წინ ქალაქიდგან ჩვენს გემს მოაშურა. საუცხოვო ამინდი იდგა. მოულოდნელად გემი ისე ძლიერ დატოკდა, რომ კინაღამ გადაბრუნდა, მივიხედეთ ქალაქისაკენ და საოცარი სურათი დავინახეთ: უზარმაზარი გორა ორთქლისა და ალისა მოგორავდა ქალაქზედ ნავთ-სადგურისაკენ. ქალაქს მსწრაფლ ცეცხლი წაეკიდა; ამავე დროს ზევიდგან ცეცხლის წვიმა წამოვიდა. სცვივოდნენ გავარვარებული, ნაკვერჩხლად ქცეული კენჭები. ხელად შევკრიბე ზღვაოსანნი და ვუბრძანე გემის დაძვრა. მუშაობა მეტად ძნელი იყო. ცხელი ნაცარი და გახურებული ქვიშა ზედ თავზედ გვეფარებოდა. ხან აქ, ხან იქ ჩნდებოდა გემზედ ცეცხლი, ჩაქრობას ძლივს ვასწრობდით. მხოლოდ ორის საათის წვალების შემდეგ შევძელით გემის დაძვრა ამ სახიფათო ადგილიდგან. ამ დროს გარეშემო უკუნეთი იყო.

აღარაფერი აღარა სჩანდა. ვხედავდით მხოლოდ ალს, რომელიც, თითქოს გახურებული თონეაო, ვულკანიდგან ამოდიოდა. გზაზედ შევხვდით გემს „Roroima“, რომელსაც ცეცხლი ეკიდა. გემიდგან შესაზარი ტირილი და ყვირილი მოისმოდა, მაგრამ შველა ყოვლად შეუძლებელი იყო. მალე „Roroima“ ჩასძირა კიდეც. თვით ჩვენის გემის ზღვაოსნებს კარგი დღე არ დაადგა: ზოგი მათგანი ძირს სალონში ეგდო მკვდარი. ტანი ყველას დამწვარი ჰქონდა. ჩვენის გემის გადარჩენა უთუოდ სასწაულის წყალობა იყო, რადგანაც ცეცხლის წვიმა ნაპირიდგან მთელის ექვსი-შვიდის ვერსის მანძილზედ გვდევნიდა. გემი ძალიან დაზიანდა. ყველგან რამდენსამე გოჯზედ ნაცარი იდო და ზედ დახოცილ ზღვაოსანთა გვამები ეყარა. მხოლოდ ათის საათის შემდეგ შესძლო გემმა უშიშარ ადგილს გასვლა.

აი, ასეთ საცოდავობის ამბავს გადმოგვცემს გემის უფროსი. ეს გემი მართლაც რაღაც მანქანებით გადარჩენილა, რადგანაც ნავთ-სადგურში დაიღუპა ყველა გემი, რიცხვით ცხრამეტი. გემებიდგან საწყალი ზღვაოსანნი ზღვაში სცვივოდნენ და იქ იღუპებოდნენ. ნაპირთან ზღვა სდუღდა ისე, როგორც ქვაბში ადუღებული წყალი.

შემზარავი სურათი გადაეშალათ თურმე თვალ-წინ იმათ, ვინც უბედურების შემდეგ პირველად აოხრებულ ქალაქს სენ-პიერს ეწვივნენ. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობენ ,,Rubis‘‘-ის გემზედ მყოფნი, რომელნიც ფორტ-დე-ფრანსედგან იქმნენ გაგზავნილნი გადარჩენილთა საშველად:

,,ნაპირი და ზღვა ერთის მილის მანძილზედ დაფენილი იყო გემების ნამტვრევებით. ჩვენი ნავი ძლივს მივაყენეთ ნაპირს. სიცხე საოცარი იყო. ქალაქ სენ-პიერში არც ერთი ცოცხალი არსება და არც ერთი გადარჩენილი შენობა არ მოსჩანდა. მხოლოდ ნავთ-სადგურთან ატუსულიყო რამდენიმე კედელი, რომელნიც ტალახის მდინარეს ვერ დაექცია. გავარჩიეთ დამოჯნის ნანგრევებიც. საინტერესოა, რომ საავადმყოფოს კედელზედ საათი უვნებელად გადარჩენილა. იგი უჩვენებდა 7 საათსა და 50 წუთს. სწორედ ამ დროს წალეკა ნაცარ-ტუტამ ქალაქი. ეკკლესიის წინ გვამთა ხროვას წავაწყდით. როგორც ეტყობა, ხალხი ეკკლესიისაკენ გაქანებულა, მაგრამ ვეღარ მიუსწვრია. ბევრგან ცეცხლი ჩამქრალი არ იყო და ეს ხელს გვიშლიდა დაგვეთვალიერებინა. ცეცხლი ჯერ კიდევ ბევრს ადგილს ეკიდა, თუმცა ვულკანიდგან ნაცარ-ტუტა და ალი აღარ ამოდიოდა. მთამ ორმესამედზედ ძირს დაიწია. ზოგიერთ უბნებში ყოვლად შეუძლებელი იყო ქუჩების გარჩევა. არც ერთ გვამს ტანისამოსი აღარა ჰქონდა. აშკარაა, ცეცხლისაგან გადამწვარა. ბევრგან გვამები სიცხისაგან დამსკდარა. ზოგ სახეს მშვიდობიანი გამომეტყველება შერჩენოდა, ზოგს-კი საოცარის შიშის ბეჭედი აჩნდა. ერთს ადგილას მთელს ოჯახს წავაწყდით: მიწაზედ ეგდო ცხრა გვამი, ერთმანეთს გადახვეული. მარტინიკის ბანკის სარდაფები გადარჩნენ. უვნებელი დაგვხვდა ფასიანი ქაღალდები და ოქრო-ვერცხლის ფული (ორ მილიონ ფრანკისა). სახელმწიფო ხაზინის სარდაფები ჯერ ვერ ვიპოვნეთ. ყოველ დღე გემებს დიდ-ძალი ხალხი გადაჰყავთ ფორტ-დე-ფრანსში დაღუპულ ქალაქის მახლობლად მდებარე სოფლებიდგან. ყველანი შიშის ზარმა მოიცვა“.

ამ უბედურების ამბავმა საფრანგეთს და იმასთან ერთად მთელ კაცობრიობას თავ-ზარი დასცა. პირველ ამბის მიღებისათანავე საერო გლოვის ნიშნად პარიჟი და მთელი საფრანგეთი შავის დროშებით შეიმოსა. ახალშენთა მინისტრმა დეკრემ დეპეშით მთელის საფრანგეთის ხალხის მწუხარება გამოუცხადა მთავრობის კომისარს მარტინიკზედ. დახმარებასა და შემწეობასაც ყოველის მხრიდგან შეუდგნენ. ბრესტინიდგან უკვე წავიდა მარტინიკზედ მთავრობის მოხელე. ამ მოხელეს ნახევარი მილიონი ფრანკი გადაეცა გაჭირვებულთა დასახმარებლად. გვადელუპის გუბერნატორს დეპეშით ებრძანა დახარჯოს ხაზინის ფული იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება. ამას გარდა, საფრანგეთის მთავრობამ სთხოვა დეპეშით შეერთებულ შტატების მთავრობას (შტატები ახლოა მარტინიკზედ) შემწეობა აღმოუჩინონ გაჭირვებულთ, ვიდრე საფრანგეთი მიეშველება. პრეზიდენტმა რუზველტმა იმავე წუთს კონგრესი მოიწვია, რომელმაც 400,000 მანეთი გადასდო გაჭირვებულთათვის. საფრანგეთის პრეზიდენტმა თავის ჯიბიდგან 20,000 ფრანკი გადასდო, იტალიის მეფემ—25,000 ფრანკი, გერმანიის იმპერატორმა—10,000 მარკა და სხვა.

თეატრი და ხელოვნება.

კვირას, მაისის 5-ს, ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში მუსიკის მასწავლებელმა ბ-ნმა ი. გ. ტერ-დავიდოვმა გამართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მხოლოდ იმისმა შეგირდებმა მიიღეს. მუსიკის მასწავლებელთა შორის დიდი ხანია შემოღებულია დრო და დრო ამ გვარ კონცერტების გამართვა, რათა ამით ნათლად დაუმტკიცონ საზოგადოებას თავიანთი მასწავლებლობის ნიჭი და უნარი. ამ კონცერტში მონაწილეობა მიიღო ოც-და-ათზედ მეტმა მისმა მოწაფემ, ქალმა და ვაჟმა, და მათმა სხვა-და-სხვა მუსიკალურ ნომრების ჩინებულად აღსრულებამ, თუმცა მათ შორის ზოგი ნომერი საკმაოდ ძნელი იყო, ცხადად დაანახვა საზოგადოებას, რომ ბ-ნი ტერ-დავიდოვი კარგად დახელოვნებული, ნიჭიერი და ერთგული მასწავლებელი ყოფილა. საზოგადოება, რომლითაც მთლად სავსე იყო კონცერტის დარბაზი, დიდის აღტაცებით დაუხვდა ახალგაზდა კონცერტანტებს და ხანგრძლივის ტაშის დაკვრით აჯილდოვებდა თითოეულ მათგანის მეცადინეობას და ხელოვნე-

---

*) იხ. „ივერია“ № 96.

ბას. თვით ბ-მა ტერ-დავიდოვმა-კი ნიშნად გულითადის მადლობისა, მიიღო თავის წინანდელ და აწინდელ მოწაფეთაგან ორი გვირგვინი და ორიც ძვირფასი ნივთი. გარდა ამისა, ერთმა მოწაფე ქალმა, ამხანაგების მინდობილობით, მხურვალე სიტყვითაც გამოუცხადა მადლობა თავისს საყვარელ მასწავლებელს.

⁂

დღეს, 9 მაისს, ქართულ თეატრში, ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, უკანასკნელი წარმოდგენაა დანიშნული ქართული დასი წარმოადგენს ერისთავის დრამას „სამშობლოს“. საინტერესო ეს წარმოდგენა მით უფროა, რომ შაჰ-აბაზის როლს ბ-ნი მესხიშვილი შეასრულებს. იმას გარდა ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი კარგარეთელი, ბ-ნნი გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი და სხვა.

⁂

„ფარსი“-ს შემდეგ, რომელსაც ტფილისის საზოგადოებამ მართლა რომ „ზევარდმო თეატრი“-ს შესაფერისი გუნდრუკი უკმია და რომელიც, ჩვენის აზრით, მხოლოდ ჰუჰყიანი ანაფხეკაა ხელოვნებისა,—არტისტიულ საზოგადოების თეატრში სცენის მოყვარეებმა კვლავ განაგრძეს წარმოდგენები ქ-ნ პასხალოვის მონაწილეობით. სხვათა შორის, გუშინ-წინ, 6 მაისს, წარმოდგენილი იყო ქართველ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიესა ჟონესი „მუშა და ნებიერი“.

ამ პიესის სიავ-კარგობაზედ არას ვიტყვით, რადგანაც ჩვენს გაზეთში ამის შესახებ ბევრი რამ თქმულა; მხოლოდ მოკლედ შევეხებით არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარეთა თამაშს.

ვერ ვიტყვით, რომ არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარენი ბევრად გასცილებოდნენ ჩვეულებრივ მოყვარულთ... იგივე გაუბედავობა სცენაზედ მოქმედება - ლაპარაკის დროს, იგივე სიყვარულით მიპყრობილი თვალები... სუფლიორისაკენ; იგივე გრიმის შეუფერებლობა და სხვა, რაც ჩვეულებრივად თან სდევს შემთხვევით მსახურს ხელოვნებისას... ერთი ეს არის, რომ ყველა მათგანი თავისს დროზედ ცილინდრით გამოდიოდა, სერთუკებით და ფრაკებით. ქალებიც, ღვთის წინაშე, სწორედ ისე მორთულ-მოკაზმულიყვნენ, როგორც ნამდვილი პარიჟელნი; ლაპარაკით, მიხვრა-მოხვრით და უნარით-კი მხოლოდ მკრთალი აჩრდილნი იყვნენ გრაფებისა, მარკიზებისა და გერცოგებისა.

მარტო ერთი, ბ. ოპოჩინინი იყო შესაფერისი თავისს როლის—მულინესი. მშვენიერი გრიმი ჰქონდა და ჩინებულადაც გადმოგვცა მუცელ-ბღინძა და ჯიბე-სქელა ბურჟუას სულიერი ავლა-დიდება.

ყველა ეს ჩამოთვლილი ნაკლულევანება სცენის მოყვარეთა, რაღა თქმა უნდა, ანახევრებს თამაშს ქ-ნის პასხალოვისას; მისი მდგომარეობა მოგაგონებთ იმ მშვენიერ სურათს, რომელიც უხეირო და შეუფერებელ ჩარჩოში ჩაუსვამთ, რის გამოც სურათი ჰკარგავს ელფერს.

დიაღ, არტისტიულ საზოგადოების მოყვარენი—შეუფერებელი ჩარჩოა ბუნებით მდიდარ და ხელოვნებით აღსავსე მსახიობ ქალისათვის.

ჩვენ წინადაც გვინახავს ქ-ნი პასხალოვისა კლარას როლში, პროფესიონალურ არტისტებთან მოთამაშე; მაშინ მისი გადმოცემა როლისა უფრო მგზნებარე, უფრო ფრთა შესხმული იყო, ვიდრე გუშინ-წინ.

ამის-და მიუხედავად, მსახიობ ქალმა მაინც ძლიერი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზედ; მისი მშვენირი, გრძნობით აღსავსე ხმა ყველა მაყურებლის გულში ჰპოულობდა სათანაგრძნობო ჰანგს და ამის ნიშნად თვალებზედ ცრემლს იწვევდა; მაგრამ როდესაც თვალს ბ-ნ ვეიმანზედ (დერბლე) გადაიტანდი, ილიუზია ჰქრებოდა, იმდენად უგრძნობელი და ყინვა-ნაწვეთი იყო მის მიერ გრძნობების გამოხატვა.

წარმოდგენას საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, თუმცა ფასები დაკლებული იყო.

ინ-ზენ.

⁂

სომხური გაზეთი „მშაკი“ იუწყება, რომ ტფილისის სომეხთა დრამატიული ამხანაგობა აპირებს მომავალის სეზონისათვის არტისტიულ საზოგადოების თეატრის აღებას და დასიც შეუდგენია რჩეულ ძალთაგან, რომელთა ერთი ნაწილიც ამ ჟამად ბაქოში მოღვაწეობს.

⁂

მოსკოვში არსებობს სალიტერატურო-სამხატვრო წრე, რომლის თავმჯდომარედაც თავ. ა. ი. სუმბათაშვილია. ამას წინად ამ წრის საზოგადო კრება მოხდა, რომელზედაც თავმჯდომარედ ხელ-ახლა არჩეულ იქმნა თავ. სუმბათაშვილი. კრებამ გადასწყვიტა გადასდოს 1,200 მანეთი შემახაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. კრების შემდეგ წევრებმა სადილი გაუმართეს თავ. სუმბათაშვილს, რომლის მეცადინეობითაც სალიტერატურო-სამხატვრო წრე დიდ წარმატებას ეღირსა. სადილს დაესწრნენ მწერალნი არტისტნი, მხატვარნი, ჟურნალისტნი და სხვანი. მრავალი სიტყვა წარმოუთქვამთ სადილზედ.

⁂

ის საოპერო დასი, რომელიც შარშან ტფილისში იყო, ხარკოვში შეუდგება მალე წარმოდგენების მართვას. წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქმნებიან აგრეთვე ცნობილი არტისტნი სობინოვი და შალიაპინი. პირველს თითო წარმოდგენაში მონაწილეობისათის მიეცემა 1,200 მანეთი, ხოლო მეორეს—1,300 მანეთი.

⁂

ტფილისში ჩამოვა ამ ცოტა ხანში ცნობილი მხატვარი კ. ე. მაკოვსკი.

ნარკვევი.

—

კ. თ. განი თავისს საინტერესო წერილებში „მგზავრობა სამეგრელოსა, სამურზაყანოსა და აბხაზეთს“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „**Кавказ. Вѣст.**“-ის წიგნებში, სხვათა შორის, ამბობს:

> აფხაზი მაღალ-მაღალია, ტანადი, ხშირად უფრო პირ-ხმელი, კანტის აგებულებისა. ცხვირი კეხიანი აქვს, თვალები შავი. მრისხანედ გამოიყურება სქელ წარბებ ქვეშიდგან. ყველანი თითქმის შავგვრემანები არიან. ქერა-თმიანსა და ცის-ფერ თვალებიანს იშვიათად შეხვდებით. თმას იპარსვენ, წვერსა და ულვაშს-კი არას დროს. აფხაზთა ქალები სილამაზეს ვერ დაიტრაბახებენ, ბორდხი სახე აქვთ და მეტად გრძელ-ცხვირიანნი არიან. 60-იან წლებში 70 ათასამდე იყვნენ სულ, ახლა-კი 32 ათასზედ მეტნი აღარ იქმნებიან.
>
> აფხაზეთში ძალიან გავრცელდა ამ ბოლოს დროს თამბაქოს თესვა. აქაური თამბაქო ძლიერ კარგის თვისებისაა. კავკასიის მეთამბაქოეთა ფირმებს თითქმის ყველასა ჰყავს აქ თავისი აგენტები. ადგილობრივ ერთი ფუთი თამბაქოს ფასი 6—18 მანეთია. დღიურზედ მოდის 30 ფუთამდე. 1892 წელს მთელ სუხუმის ოლქში იყო 2790 ნაჭერი მიწა დათესილი თამბაქოთი და ეჭირა 1632 დესეტინა სივრცით. მოვიდა იმ წელს 149417 ფუთი. მას უკან კიდევ უფრო გაძლიერდა თამბაქოს მოყვანა.

თითო თუმანი რომ ვიანგარიშოთ ადგილობრივ ფუთი თამბაქო, სჩანს აბხაზეთს მოუყვანია 1892 წელს მილიონ-ნახევარ მანეთის თუთუნი.

აბხაზეთშივე მუშაობს სახელმწიფო ტყეების იჯარადარი მაქსიმოვი, რომელსაც ნება აქვს მოსჭრას 1.200,000 ხე. მაქსიმოვი 60,000 მანეთს თურმე ჰხარჯავს ყოველ-წლივ კოდორის მდინარის გასაწმენდად, რომ ხე უფრო მოხერხებით აიტანოს წყლით შავ ზღვაზედ. მარტო მუშები იღებენ ჯამაგირს წელიწადში 360,000 მანეთამდე. მუშები მოდიან აქ მომეტებულ ნაწილად იმერეთიდან და სადადიანო სვანეთიდანაო.

—

იმავე ჟურნალის მაისის უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია მოგონება კავკასიაში სწავლა-განათლების მზრუნველად ნამყოფის ი. მ. ნევეროვის შესახებ. ავტორი მოგონებისა ბ-ნი გაკკელი დიდის თანაგრძნობით იხსენიებს ნევეროვს, რომელიც მეგობარი ყოფილა შესანიშნავის პროფ. გრანოვსკისა და სტანკევიჩისა და რომელსაც დაუტოვებია მთელი თავისი ნაღდი ქონება 54 ათასი მანეთი სკოლებისა და სტიპენდიების დასაარსებლად.

> ნევეროვის სურვილით დაარსდა ამიერ-კავკასიის ყველა საშუალო სკოლებშიო, ამბობს ბ-ნი გაკკელი,—მოსამზადებელი კლასები. მოსამზადებელი კლასები გაუადვილებს აქაურ მკვიდრთ რუსულის ენის შესწავლას ცნობიერად და გაუჭირვებლადაო, ამბობდა ნევეროვი. საზოგადოდ ნევეროვი გულ-მოდგინედ ამტკიცებდა, რომ საჭიროა აქაურმა მკვიდრმა შეისწავლოს ,თავისი დედა-ენაო. წერითაც და სიტყვიერადაც სულ ამას ამტკიცებდა: „განათლება შეუძლებელია, თუ სავსებით არ იცის კაცმა თავისი დედა-ენა, რომელიც იარაღია აზრისაო“. სკოლებში უთუოდ უნდა ისწავლებოდეს ქართული და სომხური, რომელზედაც მწერლობა და ლიტერატურა არსებობს. მუდამ უნდა განვასხვავებდეთ იმ ერთ, რომელთაც ათას-წლობით უცხოვრიათ, აქვთ თავიანთი კულტურული ისტორია და ლიტერატურა და არ ვადარებდეთ ამისთანა ერს იმ ნახევრად ველურ ხალხს, რომელსაც მხოლოდ ეხლა-ხან დაუნებებია თავი პირვანდელ მდგომარეობისათვისაო.

განსვენებულ ნევეროვს ძრიელ თურმე უყვარდა ხშირად განმეორება კატკოვის სიტყვებისა, რომელიც პირველში სულ სხვა აზრებისა იყო: „შეუძლებელია საქართველო დაპყრობილ ქვეყნად მივიჩნიოთ. მან ხელი გამოგვიწოდა შველისათვის და ჩვენც შევიწყნარეთ მისი თხოვნა. მან ისახელა თავი თვისი მით, რომ დიდად დაეხმარა რუსეთს: რუსეთის მხედრობის ისტორიაშია დაცული დიდებული სახელები ციციშვილისა, ბაგრატიონისა და სხვ.—საქართველო შეკავშირებულ უნდა იყოს ჩვენთან არა მარტო სახელმწიფო საჭიროების რკინის ჯაჭვით, არამედ იმ საერთო ინტერესების ოქროს ჯაჭვით, რომელსაც სჭედავს თავისუფალი განვითარება ცივილიზაციისა და ცხოვრებისა“.

ასე ჰფიქრობდა ოდესმე შესანიშნავი კატკოვი, ვიდრე ბოლოს ჩვენი მოძულე შეიქნებოდა. ასე ჰფიქრობს დღესაც ყოველი ჭეშმარიტი რუსი, რუსთა ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე, რომლისთვისაც გარდამეტებულ ნაციონალიზმსა და ეგოისტურს მისწრაფებას ყველას გადაყლაპვისას არ დაუბრმავებია გონება.

—

იმავე ჟურნალის მაისის წიგნშია პატარა საბიბლიოგრაფო შენიშვნა ნ. პ. კონდაკოვის წიგნის შესახებ „**Памятники христ. искусства на Аѳонѣ**“.

შენიშვნის ავტორი ამბობს, რომ პატივცემულ პროფესორის კონდაკოვისათვის ივერიის მონასტერში ათონზედ არ უჩვენებიათ ბერძენთა ბერებს სევასტიანოვის მიერ ფოტოგრაფიით გადაღებული და ცნობილი ხუთი სახარება ქართულ ყდებში შეკრული წარწერებით, აგრეთვე ჯაჭვ-მუზარადი თორნიკესი. მაგ ხუთ სახარებისა ჩვენ არა ვიცით-რაო, ხოლო თორნიკეს ჯაჭვ-მუზარადი წახდა, ჟანგმა შეჭამაო, უთქვამთ პასუხად ბერებს კონდაკოვისთვის. სალარო მდიდრის ივერიის მონასტრისა (პორტაიტისა), რომელიც ვერა ჰნახა ათონის მკვლევარმა ამ ბოლოს დროს სეკვესტრდადებულია, რადგან მეტად გამწვავდა ურთიერთობა იქაურ ქართველ ბერებისა (60 კაცია) და ბერძენთა სამღვდელოებისა. სალაროს გარეშე მცირე მასალა არ აღმოუჩენია კონდაკოვს ივერიის მონასტერში: ძველი საეკკლესიო სამკაული, შესამოსლები, ხელ-ნაწერები, განსაკუთრებით ხატები, რომელთა შორის შესანიშნავია საკვირველ-მომქმედი ხატი კარისა ღვთის-მშობლისა, დედანი მოსკოვის სიწმიდისა, შესანიშნავია თვისის ძველებურის შეჭედვით და სახის დახატვის მანერითაო.

ბიბლიოგრაფია.

Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи. Книга IV. Древніе грузинскіе одописцы (XII в.) I. Пѣвецъ Давида Строителя. II. Пѣвецъ Тамары Грузинскій текстъ излѣдовалъ, издалъ и словаремъ снабдилъ Н. Марръ, С. Петербургъ, 1902.

ჩვენ წინ მდებარე წიგნი წარმოადგენს მოზრდილის ტანის სქელს ტომს, რომელშიაც მოთავსებულია პროფესორის ნ. მარის მიერ ახლად დაბეჭდილი ორი ძველი ქართული თხზულება: აბდულ-მესია შავთელისა და თამარიანი ჩახრუხაძისა. ამ ქართულს ტექსტს წინ მიუძღვის რუსულს ენაზედ პროფესორის წინასიტყვაობა და სტატია ძველი ქართველი შესხმათა მწერალნი, შემდგარი ორის ნაწილისაგან: I დავით აღმაშენებლის მამკობარი და II თამარის მამკობარი. ეს წიგნი არის მეოთხე ტომი პროფ. ნიკ. მარის შრომათა, რომელთაც საზოგადო სახელად აქვთ **Текстъ и разыск. по арм.-груз. филологіи** და რომელსაც ჰბეჭდავს თავის ხარჯით ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტი, სადაც ბ-ნს მარს უჭირავს სომხურის ენის კათედრა.

ბ-ნი მარი დიდი ხანია გამოვიდა სამეცნიერო სარბიელზე და თავი იჩინა, როგორც თავის სპეციალურ საგნის ქართულ-სომხურის ფილოლოგიის მხურვალე სიყვარულით, ისე შრომის მოყვარეობით, ნიჭით და მეცნიერულის მიუდგომლობით. ბ-ნი მარი აღჭურვილია ყველა იმით, რაც მას ხელს შეუწყობს თავის საგნის შესწავლა-გამოკვლევისათვის. საქართველოს შვილმა ქართული ენა იცის, როგორც თავისი დედა-ენა; სომხური შესწავლილი აქვს ადგილობრივ სასომხეთში, ეჩმიაძინის მონასტერში და იცის ქართულზე არა ნაკლებ; შეთვისებული აქვს სამივე უმთავრესი ევროპიული ენა და კარგა გულდადებით შესწავლილი აქვს სპარსული, არაბული, ებრაული, ასურული და რაღა თქმა უნდა ლათინური და ბერძნული ენები. სწორედ რომ ამისთანა ცოდნის პატრონი უნდა იყვეს ის კაცი, რომელიც შეუდგება ქართულ-სომხურის ფილოლოგიის ძიება-გამოკვლევას. მხოლოდ ამისთანა კაცისაგან უნდა მოელოდეს ქართული ფილოლოგია წარმატებას ღ განვითარებას.

ცოტა არ გააკეთა ბ-ნმა მარმა ქართულის ფილოლოგიისათვის და იმედია, კიდევ ბევრს გააკეთებს. დღევანდლამდე ბ-ნი მარი უფრო იმის ძიებაში იყო, თუ რა ურთიერთობა აქვს ქართულს ენას სხვა ენებთან, ქართულს ლიტერატურას სხვა ერთა ლიტერატურასთან და ამიტომ, შეიძლება, ბევრად არ გვეჩვენოს მისი ნამუშავარი. მაგრამ რაც იმან საზოგადო მცნებანი დაამყარა დღევანდლამდე და გზა გაუკვლია ქართულს ფილოლოგიას, ისიც საკმარისია.

აქ დავასახელებთ ორს უმთავრესს მისს აზრს, ერთი ეს, რომ ქართული ენა სემიტურის ენების ჯგუფის მონათესავედ მიაჩნია, მეორე ისა, რომ ქართულს ენაზე მოლაპარაკეთ სთვლის სასომხეთის უძველეს მკვიდრთ, რომელნიც შემდეგ შეხორცებიან არიელთა ტომის დამპყრობელს ერს—არმენებს და რომელთაც თავიანთ ენიდგან ბევრი ელემენტი შეუტანიათ ახლანდელს სომხურს ენაში. ამ უკანასკნელის მოსაზრების გამო მარს სომხურის ენის გამოკვლევა შეუძლებლად მიაჩნია ქართულის ენის შეუსწავლელად და გამოუკვლეველად.

მეორე მხრივ ბ-ნი მარი ხედავს სომხურის მწერლობის დიდს გავლენას ქართულს უძველესს მწერლობაზე და ამიტომ ქართულის ძველის მწერლობის ენის გამოკვლევისათვის და შეგნებისათვის აუცილებლად მიაჩნია სომხურის ენის ცოდნაც. ამნაირად ბ-ნი მარი ამ ორს ენას—ქართულს და სომხურს—ბუნებით სულ სხვა-და-სხვა მოდგმისა და ხასიათისას, ისე უახლოვებს და უკავშირებს ერთმანეთს მეცნიერების თვალში, რომ მათს ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად შესწავლასა და გამოკვლევას შეუძლებელ ჰყოფს.

აი, ამ შეხედულობით აიხსნება ის გარემოება, რომ ბ-ნი მარი, სომხურის კათედრის მპყრობელი, სომხურ სამწერლო ნაშთებთან ერთად იკვლევს და ბეჭდავს ერთგვარის სიყვარულით ქართულს ნაშთებსაც. მოხსენებული შრომა ერთი საუკეთესო შრომათაგანია ბ-ნის მარისა. ვინ არ იცის, ან ვის არ უნახავს შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებანი, ცნობილნი ერთის საზოგადო სახელით: თამარ მეფის შესხმა. ეს შესხმანი პირველად გამოსცა პ. იოსელიანმა ამ 70 წლის წინად, მეორედ დ. ჩუბინაშვილმა 1863 წ. და ბოლოს ათიოდე წლის წინად ზ. ჭიჭინაძემ. სამჯერ გამოცემა ამ თხზულებათა ღაღადებს მათ ღირსებას ანუ ინტერესს; ეტყობა ქართველობას ჰყვარებია მათი კითხვა. მართალია, ქართველები ვაფასებდით ამ თხზულებათ და კიდეც გვიყვარდა, მაგრამ გვესმოდა-კია, რასაც ვკითხულობდით?ამის თქმა არ შეიძლება. მართალია, აქა-იქ გვხვდებოდა ტაეპები, რომლების შინაარსი გვესმოდა და რომლების სიმშვენიერით ვტკბებოდით, მაგრამ მომეტებულად თითოეულ ტაეპში გაუგებარი იყო ჩვენთვის ან რამდენიმე სიტყვა ან მთელი ფრაზები. ვკითხულობდით და, რაც გვესმოდა, იმითი ვტკბებოდით, ხოლო რაც არ გვესმოდა, იმას ვტოვებდით ისე გაუგებლად, თუმცა გარეგნობით მაინც მოგვწონდა ლექსთა სიმწყობრის გამო. თან ვგრძნობდით, რომ აზრები როგორღაც დალაგებით არ იყვნენ, მეტადრე ჩახრუხაძის თხზულებაში. ჩვენ ამ გაუგებრობას ვხსნიდით სიტყვების სიძველით, მათ უცხოობით და ხან-და-ხან, ვინც უფრო კრიტიკულად უკვირდებოდა, ტექსტის გარყვნით და ცუდის რედაქციით.

ყველაფერი ეს მართალი იყო, მაგრამ აგერ სამჯერ დაიბეჭდა ეს თხზულებანი და არავინ ახსნა გაუგებარი სიტყვები, არავინ ეცადა აღედგინა გარყვნილი ტექსტი. რაც ვერ ქმნა ვერავინ მეცხრამეტე საუკუნეში, ის გააკეთა ბ-ნმა ნ. მარმა მეოცე საუკუნის დამდეგს.

როგორც ვთქვით, ორსავე თხზულებას აქამდე ვუწოდებდით თამარ მეფის შესხმას და ვფიქრობდით, რომ შავთელიც და ჩახრუხაძეც თამარის თანამედროვე პოეტები იყვნენ. ჩაუკვირდა-რა შავთელის თხზულების შინაარსს, ბ-ნმა მარმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ ეს ნაწერი თამარის შესხმა-კი არა, დავით აღმაშენებლის შესხმაა და, მაშასადამე, მისი დამწერი—შავთელი თამარის თანამედროვე-კი არა, დავითის თანამედროვე ყოფილა. ამ ნაირად ეს თხზულება აღმოჩნდა თითქმის ერთის საუკუნით უფრო ძველი, ვიდრე აქამდის ვფიქრობდით. ჩახრუხაძის თხზულების საფუძვლიანად შესწავლამ ბ-ნი მარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იგი ერთიანი და მთლიანი ნაწერი-კი არ იყო, არამედ კრებული წვრილის ლექსებისა, რიცხვით თორმეტისა, რომელთაგან 11 არის ოდა ანუ შესხმა თამარ მეფისა, 1-კი ელეგია, ისევ თამარ მეფესთან დაკავშირებული.

ქართულის ღრმა ცოდნამ და აგრეთვე უცხო ენათა ცოდნამ მარისთვის გასაგები ჰყო ბევრი ისეთი სიტყვები, რომელნიც ჩვენ დღეს აღარ გვესმოდა. ხოლო ტექსტის კრიტიკულმა გარჩევამ ცხად-ჰყო, რომ მაში ბევრგან გადამწერთა ბრალით ორი და სამი სიტყვა ერთ სიტყვად გადაქცეულა, ან ერთი სიტყვა ორად ან სამად გაუყვიათ და ამდენივე სიტყვა გაუკეთებიათ. ანუ ერთი სიტყვის მაგიერ სულ სხვა სიტყვა უხმარიათ, ვითომ გაუგებარის სიტყვის ნაცვლად, ანუ სტრიქონები და ტაეპები გადაუსვ-გადმოუსვამთ და ამით სულ აურევიათ აზრი. ხოლო კერძოდ ჩახრუხაძის ნაწერებში ერთად აურდაურევიათ თორმეტი სხვა-და-სხვა წვრილი ლექსი.

ჩვენის დროისათვის ტექსტის გაუგებრობას ხელს უწყობენ თურმე აგრეთვე ამ თხზულებებში ალაგ-ალაგ ბლომად უცხო სიტყვების და, ასე გასინჯეთ, თვით ფრაზების ხმარებაც.

ბ-ნის მარის გამოკვლევით შავთელის ნაწერის სახელი უნდა იყვეს აბდულ-მესია, რომელიც არის ზედწოდება ამ თხზულების გმირისა, დავით აღმაშენებლისა და რაიცა ნიშნავს „ქრისტეს მონას“. ეს თხზულება ბ-ნის მარის აზრით არის სწორედ ის თხზულება, რომელსაც შოთა რუსთაველი მიაწერს შავთელს, როდესაც ამბობს: „ამირან დარეჯანიძე მოსეს უქია ხონელსა, აბდულ-მესია შავთელსა მას, ლექსი უქეს რომელსა“. ამ ნაირად უარჰყოფს ბ-ნი მარი იმათ აზრს, რომელთაც აბდულ-მესია შავთელის სახელად მიაჩნიათ.

ჩახრუხაძის თხზულების გარკვევის და იქიდგან თორმეტის სხვა-და-სხვა წვრილი ლექსების გამოკრების და რიგზედ დალაგების შემდეგ, ბ-ნი მარი მას საზოგადო სახელად უწოდს თამარიანს, რასაც ის საფუძველი აქვს, რომ ამ თორმეტს ლექსში თერთმეტი პირდაპირ თამარის შესხმას წარმოადგენს, ხოლო მეთორმეტე ელეგიას, თამარის გავლენით გამოთქმულს.

ბ-ნი მარი ამაზე არ ჩერდება, კითხულობს, ვინ უნდა ყოფილიყო ჩახრუხაძე და გამოსთქვამს გაკვრით აზრს, შეიძლება თამარიანის დამწერი ჩახრუხაძე იგივე შოთა რუსთაველი იყვესო. ამ აზრს გადაჭრით არ იცავს ბ-ნი მარი, მაგრამ მოჰყავს საკმაოდ საბუთები მის სასარგებლოდ.

ამნაირად ბ-ნს მარს ჩვენის ძველის ლიტერატურის ორი ნაშთი—აბდულ-მესია შავთელისა და თამარიანი ჩახრუხაძისა, აქამდე ცნობილნი ერთნაირის სახელით, თამარის შესხმად, შეუსწავლია გულდადებით, გარყვნილი ტექსტი გაუსწორებია, არევ-დარეული მისი ნაწილები თავ-თავის ადგილს დაულაგებია და გამოუცია სულ სხვა სახით, ვიდრე წარსულის საუკუნის გამოცემანი. ტექსტის იმ სიტყვების გასაგებად, რომელნიც ახლა აღარ იხმარებიან, მას ბოლოში დართული აქვს სამნაირი ლექსიკონი: 1, ძველის და ახლა უხმარის ქართულ სიტყვებისა, 2, უცხო ენათაგან მიღებულ სიტყვებისა და 3, საკუთარის სახელებისა.

ბ-ნს მარს თავისი გამოკვლევა სრულად არ მიაჩნია. მას დარჩენია გაუგებარი ან საეჭვო კიდევ ბევრი სიტყვა და ფრაზები, არ ჰგონია, რომ ზოგიერთი განმარტება და გასწორება შეუცდომელნი იყვნენ და ფიქრობს, რომ როდისმე აღმოჩნდება ხსენებულის თხზულებების უძველესი ხელ-ნაწერები, რომელნიც შესაძლებელ ჰყოფენ ჯერ კიდევ გაუგებარის ადგილების ახსნას და შეცდომით მისგან განმარტებულის ადგილების შესწორებას.

აი მოკლეთ ის, რაც ჩვენ საჭიროთ დავინახეთ გვეთქვა მკითხველისთვის ამ ფრიად შესანიშნავის შრომის შესახებ, რომელიც, როგორც თვით მშრომელი ბრძანებს, არ არის და არც შეიძლება იყვეს, უშეცდომო. შეიძლება ზოგიერთი საბუთი, რომელიც ბ-ნს მარს მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, სუსტი იყვეს; უეჭველია, ბევრგან ბ-ნის მარისგან აღდგენილი და შესწორებული ტექსტი არ იქნება ის, რაც უნდა ყოფილიყო პირველად; საფიქრებელია, რომ სიტყვების განმარტებაში ცოტაოდენი შეცდომები ჰქონდეს. ამას თვით პატივცემული მკვლევარი უარს არა ჰყოფს. როგორიც უნდა იყვეს და რამდენიც უნდა იყვეს მისი შეცდომა, მისი შრომა ქართულის ლიტერატურის ისტორიისთვის და ფილოლოგიისთვის მეტად დიდი და ნაყოფიერია. ამ შრომით ბ-ნმა მარმა ისეთი შუქი მიაყენა ჩვენს ძველს მწერლობას, რომ ახლა აღარ იქნება ჩვენთვის ძნელი გავარჩიოთ რაც იმალება მის სიღრმეში და მივდიოთ დამწყებს იმ ერთად-ერთს გზაზე, რომელსაც ის გვიჩვენებს ჩვენის წარსულის შესასწავლად. ეს გზა არის: შრომა, ცოდნა და მიუდგომლობა.

დ. კარიჭაშვილი.

რას უნდა მოველოდეთ წრეულს მეაბრეშუმეობისაგან.

წინადრევი გაზაფხული, თებერვალ-მარტში გაბმული სიცხეები, მეაბრეშუმეთათვის, ისე როგორც მებაღე-მევენახეთათვის, არ არის ხელ-საყრელი. მარტის დარების ნაცვლად აპრილმა იჭინქულა, იავდრა; თოვლი, ყინვა და ცივი ქარები გაგვიხშირა და მარტში გამოსული ბჟოლა, ვენახი და ჭიაც საგრძნობლად დააზიანა.

თითქმის ასე იყო შარშანაც. ამ მიზეზით, აბრეშუმის მოსავალს საზოგადოდ ნაკლებს უნდა მოველოდეთ. შორეულ აღმოსავლეთსა და მცირე აზიაშიაც დაზიანებულა ჭია სიცივეებით და პირველი მოსავალი, რომელიც უკვე შემოსულა ჩინეთში, შარშანდელზედ ნაკლებიაო.

მეორე მიზეზი ჩვენში მოსალოდნელ მოსავლის სიმცირისა არის თითონ მეაბრეშუმეთა-

გან ჭიის თესლის უწეს-რიგოდ შეძენა. ბევრი მეაბრეშუმე აქამდის უთესლოდ არის; ბევრმა ამ დღეებში შეიძინა თესლი, რომელიც ნახევრობით გამოსული და გაფუჩებული იყო. რაღა მოსავალს უნდა მოელოდეს იმის პატრონი? რად იცდიდნენ ამდენს ხანს მეაბრეშუმეები?—თესლის გაიაფებას უცდიდნენ? ეს არ ითქმის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის მუშტრებზე, რომელთაც ადრევე შეიძინეს თესლი და, თუმცა მათაც სიცივეებმა აზარალა აქა-იქ, მაგრამ იმათი იმედი ყოველთვის მეტი უნდა გვქონდეს, ვიდრე თესლის გაიაფების მომლოდინეთა. ესენი ჯერ კიდევ არ არიან მიმხვდარნი, რომ დღეს ნაყიდი თესლი სიიაფის მეტს არა სიკეთეს არ შეიცავს.

ევროპიდგან ახალ მოსავლის შესახებ ჯერ კარგი ამბებია. აბრეშუმისა და პარკის ფასები-კი იგივეა, რაც ამ სამი თვის წინად იყო. ჩვენებური პარკის ფასი ცხრა ფრანკია კილოსი ანუ ფუთი (ნომინალი ფასი)—54 მანეთი. შარშან, ამავე დროს-კი ფუთში 46—48 მანეთს ძლივს იძლეოდნენ. თუმცა დღევანდელი ფასები შარშანდელსა სჯობს, მაგრამ მაინც დაბალია წინა წლების ფასებთან შედარებით, როცა კილო პარკი 10—12 ფრანკად იყიდებოდა (ფუთის ნომინალი ფასი 60—72 მანეთი).

დღევანდელს სიიაფეს ისიც ჰმოწმობს, რომ თუმცა შარშან, ერთი-მეორეზედ, ფუთი პარკის (ნედლის) ფასი 12 მანეთს არ ასცილებია, მაგრამ მაინც შარშანდელ მყიდველებს პარკის ვაჭრობით, ზარალი თუ არა, მოგება მაინც არ უნახავთ. ამათ რიცხვშია თვით მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობაც, რომელმაც პარკი იქიდგანვე გაჰყიდა საზღვარ გარეთ ჩასაბარებლად და ჩააბარა კიდეც მყიდველებს იქაური ბანკის (Comptoir National) შუამდგომლობით. ამ ოპერაციამ დასტოვა ცამეტ ათასზე მეტი მანეთი, (13,639 მანეთი), რომელიც მოუნდა ნასესხ ფულის სარგებელს (7,102 მან.) და სამმართველო ხარჯებს (6,064 მან.). ხოლო იმ წევრთ, რომელთაც იმ თავით ფუთი პარკი რვა მანეთად დაუტოვეს ამხანაგობას, დღეს დამატებით ფასად მიიღეს ფუთზე ოთხი მანეთი (სულ ხუთ ათას მანეთზე მეტი). ეს ხუთი ათასი მანეთი პარკის ნაყიდობაში შედის და ემატება ზევით მოხსენებულს პარკის აღებმიცემობით დატოვებულს ცამეტ ათას მანეთს.

გამოდის, რომ, როცა კილო პარკი ცხრა ფრანკად იყიდება (ფუთის ნომინალი ფასი 54 მან.), თუ აქ ფუთ ნედლ პარკში თორმეტს მანეთს მივცემთ, შეგვეძლება მხოლოდ მოვალეები გავისტუმროთ თავნიან-სარგებლიანად და სამმართველო ხარჯებიც დავფაროთ. ამ შემთხვევაში ან ფული უნდა ვიშოვოთ ნაკლებ სარგებლით, ან სხვა ხარჯები უნდა შევამციროთ, თუ გვინდა, რომ მოგებაც გვექნეს. ეს ფაქტი უნდა გვასწავლიდეს, რომ, როცა საზღვარ-გარეთ კილო პარკის ფასი ცხრა ფრანკი ძლივს არის, არაფერი წინდახედულობა იქნება, რომ ამხანაგობამ ავანსად ამხანაგს რვა მანეთის მეტი მისცეს. და თუ იმ თავითვე ფუთ პარკში ათ მანეთს მისცემს, ამას ავანსიც აღარ დაერქმის.

რადგან სიტყვამ მოიტანა, უადგილოდ არ მიგვაჩნია აქ მოვიყვანოთ „კვალის“ თანამშრომლის ბ. X-ის შეხედულობა გადუჭრელ ფასად (ავანსის მიცემით) პარკის ყიდვაზე. ბ. Z თავის წერილში (იხ. „კვალის“ № 17)—ამხანაგობის 1900 წლის ანგარიშის შესახებ სწერს: „ამხანაგობის შემდეგში ზარალის თავიდგან ასაცილებლად, ანგარიშის შემდგენელნი ერთს საშუალებას თვლიან საჭიროთ და სასურველათ. ეს ის საშუალებაა, რომ პარკის გამყიდველებმა ამხანაგობას ადგილობრივ მაზანდაზე დაკლებულ ფასათ მისცენ პარკი და ამხანაგობის მიერ გაყიდვის შემდეგ შეივსონ დანაკლისი. „საჭირო არის, რომ ისევ მწარმოებლებმა იკისრონ მოგება-ზარალიო“, წერია ანგარიშის ერთს ადგილს. „ჩვენ-კი—განაგრძობს ბ-ნი Z—ჩვენი მხრით არ გვგონია რომ ამით რაიმე ძირითადი ცვლილება მოხდეს საქმეში. განა სულ ერთი არ არის, ამხანაგობის წევრ-მწარმოებლებს ზარალი ერთათ, კოლლექტიურათ მოუვათ თუ ცალცალკე?“

ზარალი თუმცა ორსავე შემთხვევაში ზარალად რჩება, მაგრამ სრულიადაც ერთი და იგივე არ არის ამხანაგობის, როგორც დაწესებულების, ზარალი და თვითეული წევრისა—ცალკე. შორს წასვლა საჭირო არ არის. იგივე ანგარიში მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა 1900 წლისათვის მოწმობს, რომ, თუ ამხანაგობას მთელი საქონელი ბაზრის ფასებში ეყიდნა, 23,000 მანეთს იზარალებდა, რომელსაც, რასაკვირველია, წევრნი თავის ჯიბიდგან არ შეავსებდნენ და ამხანაგობა დარჩებოდა ცარიელ-ტარიელი: ულონო, ნდობა-დაკარგული და ბოლოს ამხანაგობის უმოქმედობით ისევ ის წევრნი მწარმოებელნი დაიჩაგრებოდნენ, რომელთა სანუგეშოდაც არსებობს დღეს ამხანაგობა...

არ შეგვიძლიან მადლობა არ ვუძღვნათ ბ. Z-ს ამხანაგობის ანგარიშის გამო ხმის ამოღებისათვის. სჩანს, ავტორს ამხანაგობისათვის გული შესტკივა. ამიტომ ავტორის სურვილია გულწრფელად ავს ავი უწოდოს და კარგს—კარგი. ჩვენც ეს სურვილი გვამოქმედებს, როცა ავტორს შემდეგი უნდა მოვახსენოთ. იგი სწერს: „რასაკვირველია, „ამხანაგობის“ გამგეობის ბრალი არაა, რომ ხსენებულს წელს ევროპაში პარკის ფასები დაცემულა. მაგრამ ჩვენ გვგონია, იგი მხატეთ და საქმეში ჩაუკვირვებლად *) მოქცეულა, რომ იმდენი საქონელი საფრანგეთში წაუღია და წინდაწინ არც მყიდველი ყოლია აჩენილი და არც ასაღები ფასი გაგებული. ევროპაში საქონლის წაღებას, განაგრძობს ბ-ნი Z დიდძალი ხარჯი ჰირდება (ამას უარს განა ვინ ამბობს), ხარჯი როგორც წაღების, ისე იქ შენახვის. ამიტომ იქ საქონლის წაღება, ქირით იქაურ საწყობში დალაგება და მუშტრისა და ფასების აწევისთვის ლოდინი (ასე იქცევა, ბატონო, ყველა პარკის გამყიდველი.—ეს წესია) ვერაფერი ჭკუა და გამჭრიახობაა.“

იმავე წერილში ბ-ნს Z-ს მოჰყავს სტატისტიკური ცნობები იმის დამამტკიცებელი, რომ საფრანგეთს და უფრო კიდევ იტალიას დიდძალი პარკი შესდის სხვა ქვეყნებიდგან, ვინაიდგან „იმ ქვეყნებში მოწეული პარკი იქაურ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს“. სწორედ ის დიდ-ძალი პარკი, რომელიც შეაქვთ იტალია-საფრანგეთში, თანხმათ ბ-ნ Z-საგან მოყვანილის ციფრებისა, შეაქვთ წინდაწინ გაუყიდველი, აწყობენ ამ პარკს იქაურ საწყობებში და თანაბრად მოთხოვნილებისა ნაწილ-ნაწილ ჰყიდიან (შეიძლება ერთი მეათედი ნაწილი ჩატანამდისაც, ჩასაბარებლად—à livrer,—იყოს გაყიდული). ამიტომ არის, რომ იქაური საწყობები მთელის წლის განმავლობაში პარკით სავსეა.

ძაფის მექარხნე („ფილატერი“), როგორც ძაფს გაჰყიდის, იმის თანაბრად ყიდულობს პარკს, თითო თვის სამყოფს. იქ პარკის დაწყობაც უფრო იაფად ჯდება, ვინემ აქ; დაწვისაგან დაზღვეული, წახდენისა, თაგვისა*), თუ ქურდისაგან უზრუნველ ყოფილი პარკი იქ ინახება დაახლოვებით ფუთი ორ შაურად თვეში,—საქონელი, რომლის ერთი ფუთი ღირს 60—70 მანეთი. ისიც სათქმელია, რომ ფული, რომელიც საქონელში არის დაბანდებული, როცა აქ, ჩვენში, აწყობთ პარკს და მყიდველს უცდით, უფრო ძვირად გიჯდებათ, ვინემ საზღვარ-გარეთ.

სანამ ამხანაგობის ჭკუასა და გამჭრიახობას შევეხებოდეთ, საჭიროა ყოველთვის წინასწარ ამხანაგობის მაშინდელ მდგომარეობას გავითვალისწინებდეთ. განა, პარკის მყიდველები იმდენად გაცნობილნი იყვნენ ამხანაგობასთან, რომ ამის საქონელი შორიდგან ეყიდათ? თვით ამ გაცნობისათვის არ იყო საჭირო, რომ ამხანაგობას თავისი საქონელი საქვეყნო ბაზარში გაეტანა? და რაც უფრო საინტერესოა, განა, აქ გაჩერებით ფასი მოემატებოდა ამხანაგობის საქონელს? რაც 1901 წელს შეიძლო ამხანაგობამ, ის 1900-ში არ შეეძლო. 1901 წლის პარკი ამხანაგობამ აქედგან გაყიდა საზღვარ-გარეთ ჩასაბარებლად, როგორც ეს ზევითაც ნათქვამი იყო, მაგრამ ამით ამხანაგობას მეტი ფასი-კი არ აუღია, რაც იქაურ ბაზარში საქვეყნოთ არ არსებობდა!

ნ. წერეთელი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 მაისი.

პეტერბურგი. ამ გემთა შორის, რომელნიც კრონშტადტში ეგებებოდნენ პრეზიდენტ ლუბეს, გამოირჩეოდა შორეულის აღმოსავლეთის ნავთსადგურებიდგან ახლად მოსული რუსული გემი „კიტაი“, მოკაზმული სხვა-და-სხვა ფერის ფარჩებით, ბაირაღებით, მწვანით და გვერდებზედ ზედ წარწერით «Colonie française. ამ გემიდგან ხალხი ჭერიდა წყალში მიმავალ საფრანგეთის ხომალდების წინ თაიგულებს და საფრანგეთის ბაირაღებს.

ბელგრადი. ვაშიჩის სამინისტრო კაბინეტი ვერ შესდგა იმის გამო, რომ პარიჟიდან დაბარებულმა ელჩმა ნიკოლიჩმა არ იკისრა გარეშე საქმეთა მინისტრობა. მეფემ ხელმეორედ მიანდო ვუიჩს კაბინეტის შედგენა, რომელშიაც შევიდნენ: მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი ვუიჩი, ფინანსთა—მიკა პოპოვიჩი, სახალხო განათლებისა—დრაგოტინ სტამენკოვიჩი, სამხედრო—პოლკოვნიკი ვასილ ანტონიჩი, შინაგან საქმეთა—ნიკოლა სტეფანოვიჩი და საზოგადო სამუშაოთა—პეტრ ველიმიროვიჩ; ახალნი წევრნი კაბინეტისა: არონ ნინჩიჩი იუსტიციის მინისტრად და გისკა ნიკოლიჩი ადებ-მიცემობის მინისტრად. კაბინეტის წევრებში ოთხი რადიკალია, სამი პროგრესისტი და ერთიც ნეიტრალი.

ბერლინი. გუშინდელს საუზმეზედ, ახალს სასახლეში, იმპერატორმა დალია რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო.

ლონდონი. ტოკიოდგან „Times“-ს აცნობებენ, რომ იაპონიის ფლოტის გაძლიერება, რომელიც 1904 წლიდამ დაწყებული ექვსის წლის განმავლობაში უნდა მოხდეს, იმაში იქნება, რომ ააგებენ ოთხს საომარს ხომალდს, ორს ჯავშნიან კრეისერს, ორს კრეისერს მეორე კლასისას, 50 ნაღმიანს გემს და 15 ნაღმიან გემის საწინააღმდეგოს.

კიევი. უნივერსიტეტის იურიდიულ საეგზამენო კომისიაში დაიწყეს ეგზამენები. ეგზამენს იჭერს 284 კაცი; თავმჯდომარეობს კრემლევი; ეგზამენები 10 თიბათვეს გათავდება.

კრონშტადტი. ნაშუადღევის ოთხ საათზედ გაიმართა სადილი საფრანგეთის ესკადრის კომანდებისათვის; იმათთან ისადილეს რუს კონდუქტორებმა, კვარტირმეისტრებმა და ზღვაოსნებმა. წესრიგს იცავდა კაპიტანი კნიაზევი. წარმოთქმულ იქნა ბევრი მეგობრობის თანაგრძნობის სიტყვა. სადილის შემდეგ საფრანგეთის ზღვაოსნები მიაცილეს პეტროვსკის ნავთსადგურამდე. კომანდებმა გამოუცვალეს ერთმანერთს ქუდები და ისე მიდიოდნენ. ნავთსადგურზედ გაიმართა ცეკვა. სადილმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მეგობარ ხალხთა ზღვაოსნებზედ.

სამარყანდი. შემუშავებულია გეგმა შენობისა სამარყანდში მუზეუმისა, საზოგადო ბიბლიოთეკისა და სახალხო საკითხავების დარბაზისათვის. შენობა ეღირება 40,000 მანეთი. თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა დაადასტურა ეს გეგმა.

8 მაისი.

პეტერბურგი. მაისის 7-ს საღამოს $7^1/_2$ საათზედ დიდის სასახლის დიდს დარბაზში ცარსკოე სელოში სადღესასწაულო სადილი იყო პრეზიდენტის პატივის-საცემლად მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით. ხელმწიფე იმპერატორმა ინება და წარმოსთქვა შემდეგი სადღეგრძელო ფრანგულად: ვისურვებ გულითა და სულითა, რომ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბ-ნო პრეზიდენტო. იმედი მაქვს, რომ თქვენი ყოფნა ჩვენ შორის საუკეთესო საბუთს მოგცემთ დარწმუნდეთ, თუ რა გრძნობანი აკავშირებენ საფრანგეთსა და რუსეთს. ინებოს ღმერთმა, რომ თქვენც ისეთი სასიამოვნო მოგონება ჩაგრჩენოდეთ გულში აქ ყოფნით, რა მოგონებაც მე და იმპერატრიცას არ გვშორდება გონებიდან, როცა გვახსენდება, რა სიამოვნებით გავატარეთ რამდენიმე დღე შარშან საფრანგეთში. ვსვამ, ბ-ნო პრეზიდენტო, სადღეგრძელოს თქვენდა პატივ-საცემლად, ჩვენდა მეგობარისა და მოკავშირე ტურფა ქვეყნის სადიდებლად და საკეთილდღეოდ. პრეზიდენტმა უპასუხა შემდეგის სადღეგრძელოს სიტყვებით: ბატონო, გიახელით-რა თქვენის მოწვევით, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა მოგახსენოთ საფრანგეთის კეთილი სურვილი თქვენდა მიმართ, იმ საფრანგეთისა, რომელიც მუდამ გამსჭვალულია თქვენდამი იმავე გრძნობით, რომლის გამოცხადება თქვენ თვითონ იხილეთ. რამდენიმე საათი საკმაო იყო ჩემთვის, რომ მეც დავრწმუნებულიყავ, ჩემის მხრივ თუ რაოდენ ერთგვარად სცემს გული რუსეთისა და ჩემის ქვეყნისა. საფრანგეთი ბედნიერი იქმნება ამ ხმა-შეწყობილის ერთიანის გრძნობით, რომლის მოგონებაც, როგორც თქვენვე ბრძანეთ, გულს ჩაგრჩათ თქვენცა, თქვენო უდიდებულესობავ და ხელმწიფე იმპერატრიცასაც. დიდად მადლობელი ასეთის მიღებისათვის, ვსვამ სადღეგრძელოს თქვენის უდიდებულესობისა, ხელმწიფე იმპერატრიცისა და ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამისა და სრულიად საიმპერატორო სახლეულობის პატივ-საცემლად. ვსვამ სადღეგრძელოს საკეთილ-დღეოდ და სადიდებლად რუსეთისა, რომელიც გულ-წრფელი და ერთგული მეგობარია და მოკავშირე საფრანგეთისა. სადილს შემდეგ მათთა უდიდებულესობათა ჩამოუარეს თავიანთ სტუმრებს. 10 საათზედ საგანგებო მატარებელი მოწვეულის სტუმრებით გაემართა პეტერბურგს. საღამოზედ პეტერბურგის საქალაქო საბჭოს დარბაზებში გამართულ იქმნა წვეულობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საფრანგეთის ესკადრის რუსეთში მოსვლის პატივსაცემლად. 11 საათისათვის მოვიდნენ ადმირალი რუსტანი, ზღვათა სამინისტროს გამგებელი და საფრანგეთის ელჩი. ქალაქის მოურავმა წარმოსთქვა სიტყვა. მის სიტყვას მოჰყვა ერთობილი ძახილი ურასი და საფრანგეთის საეროვნო საგალობელი.

რომი. ოსმალეთის ბრძანებით იტალიას ეძლევა განსაკუთრებული უფლება მფარველობა გაუწიოს თავის ქვეშევრდომთ წმინდა ადგილებში.

პარიჟი. გამართლდა ხმა, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა გადასწყვიტა სამსახურს თავი დაანებოს 1 ივნისამდე, რადგან ჰგონებს, ჩემი მოვალეობა შევასრულეო და ეს გარემოება აცნობა თავის ამხანაგებს და პრეზიდენტს ლუბეს.

მიდიბურგი. 120 ბური დაეცა მაისის 5 აბერდინს, მაგრამ უკუ-ქცეულ იქმნენ.

ფორტ-დე-ფრანსი. დილის 6 საათზედ საშინელი ნაცრის ღრუბელი საზარელის სისწრაფით მოგროვდა ფორტ-დე-ფრანსის თავზედ; შემჩნეულ იქმნა ელვარება; ამ მოვლენას თან მოჰყვა გუგუნი დედამიწის ქვეშიდგან.

სუხუმი. ინტელიგენტების ახალშენმა გუდაუთს ახლოს დარგო 20 დესიატინა ატმისა და მსხალის ხეებითა; პსკოველმა ძმებმა ლოპატინებმა დარგეს ფეხილით 10 დესეტინა; დარგულმა ხეებმა ისე იხარა, რომ ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა, მეტადრე ზამთრის ხე-ხილმა.

სიმბირსკი. სათავად-აზნაურო პანსიონთავშესაფარის შენობის საძირკვლის ჩაყრის შემდეგ საუზმე იყო გამართული. ხელმწიფე იმპერატორისა და უავგუსტოესის სახლეულობის სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს შეიქმნა ძახილი „ურა“-სი. აღფრთოვანებით იქმნა მიღებული სადღეგრძელო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა, რომელსაც გაეგზავნა მისალმების დეპეშა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$98^1/_8$ გაყ
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	473 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	363 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$290^1/_2$ წვ გაყ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$88^5/_8$ გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	$89^3/_4$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$89^5/_8$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ...	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4700 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	440 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	164 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად. . .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით) .	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე) .	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან). . . .	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის **მაისის 19 დღესა**, დილის ათ საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წლის მოქმედებისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის.

4, კერძო მოხსენებანი.

5, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ-ნ ი. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება

და 6 არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—უ.—2)

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Одеколонъ Озонъ для дезодораціи воздуха въ комнатахъ и общаго туалета“.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნისმაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის .	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა . . .	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა. .	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლისა. .	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი .	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი . .	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ. . . .	,, 30
Або Тифлисскій, Е. К. . .	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ .	,, 60
გიორგი და მიხეილი . . .	,, 10
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили. . . .	,, 50
ცისარტყელა, აკ. წერეთლისა .	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა . . .	1
Характеристики и воспоминанія Г. Туманова . . .	,, 50
Карбеловъ. . . .	,, 20
დედა, ანდერსენისა . . .	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი .	1 ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი . .	,, 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	,, 1
Давидъ Гареджели, Е. К. .	,, 1
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა .	,, 1
ელენე, მოთხრობა . . .	,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К. .	,,

---

*) ხაზი ჩვენი გასმულია. ნ. წ.

*) თაგვი პარკის დიდი მტერია. ნ. წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 мая 1902 г. Типографія, «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.